

140
1955/3


საქართველოს
ზოგადი განათების
მინისტრის
გამგზავნი

საბავშვო გობე



ს. რ. ნ. ე. ნ. რ.

№ 12
დეკემბერი
1955



ჭაბუკი სტალინი გორის ციხეზე
სურათი ვ. დუგლადისა



პენსიები



№ 12

დეკემბერი, 1955 წ.

წელიწადი XXIX

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი



6904

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე
1952 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის დღეს.



ბ ე ლ ა ლ ი ს ა კ ვ ა ნ თ ა ნ

ერთ გამოსასვლელ ღდეს დილიდან საღამომდე დაყავი სტალინის მშობლიურ სახლში. ვაკვირდებოდი მის უთვალავ სტუმრებს. ბლოკნოტში ვინიშნავდი საგულისხმო დეტალებს. როცა ჩემს მოკლე ჩანაწერებს გონების თვალით გადავხედე, გავიფიქრე, კარგი იქნება ისინი მკითხველებს გავუზიარო-მეთქი.

მაშ, ასე, აღვადგინოთ სურათი ერთი რიგითი დღისა, როგორც მრავალი და მრავალი უნახავს ამ სახლს... ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დამდეგს მზე კვლავ დიდებულად ჩახჩახებდა და დილის ცვარით დანაშულ ტუიას, იაბონურ ვერცხლისფერ ნაძვის ხეს, ბზას, დეკორაციულ თუთიებს, მავნოლიას, იაბონურ კომშს, გეორგიანას, ზრიზანტემას და ნაირ ყვავილებს შესცინოდა.

პირველი ვაპირებდი ამ ეზოში მოსვლას, რათა აქედან მექვირა მზის ამოსვლისათვის... მაგრამ ამ მიდამოში მოსვლა ჩემთვის უკვე მოესწროთ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს. შუაში ბრგე ჭაბუკი ჩაეყენებინათ, რომელიც მთელი გატაცებით ჭიმავდა ბაიანს და ისეთი ცეცხლით, შთაგონებით უკრავდა, როგორც ალბათ თავის სიცოცხლეში არასოდეს არ დაუკრავს. უკრავდა და პირდაპირ შესცქეროდა ყველავ სახლს, როგორც შთაგონების უშრეტ წყაროს, სიხარულისა და ბედნიერების ანკარა სათავეს.

უცბად წრე შეკრეს და დაიწყო თავბრუსდამხვევი ცეკვა. ცეკვავდა ორჯონიკიძელი მუშაკი, რომელსაც ჭადარის გვირგვინი უმკობდა თავს, ახალგაზრდა სტომატოლოგიც, რომელსაც უღვაშები ახლად აბიზინებოდა, ბუხვალტერი ქალიც, რომელიც თავისი ასაკის მიუხედავად საკმაოდ მოხდენილად ჰყვებოდა მუსიკის ტაქტს და თანაც მღეროდა...

მათ უკვე მოესწროთ სახლისა და მუხეუმის დათვალიერება; სიძლიერით, ცეკვით გაემართნენ ქალაქისაკენ. ბედნიერი აღამიანები ისე მიაბიჯებდნენ ქუჩაში, ათიქოს სიხარულისა და აღტაცებისაგან ფრთები აქვთ გამოსხმულით.

ჯერ ისევ ისმოდა მათი ხმები, რომ სახლში ერთიმეორის მიყოლებით შემოვიდნენ ერევნის ინტელიგენციის ჯგუფი და ბოლნისელი კოლმეურნეები, ექსკურსანტები კივიდნენ, დონბასიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, ბორჯომიდან, კასპიდან, აგარდან, ჯავიდან... ბავშვებიც ჩამოყვანათ. აქ იყვნენ ისეთი მოხუცებიც, რომელნიც შვილიშვილებს დაჟინებით თხოვდნენ: სანამ მოკვდებოდეთ, ერთხელ მაინც გვაჩვენეთ ეს მადლიანი სახლ-კარიო.

კიეველი პროპაგანდისტი ეფიმ სოლოპაი გორში სტალინის სახლის სანახავად ქართველი ტექნიკოსის თანხლებით ჩამოვიდა. მათ დამოკიდე-

ბულებად იყო რაღაც ინტიმური, ძალიან საყუარადღებო, რაზეც მოკლედ გიამბობთ.

სოლოპაი და ამ ქართველი — ქუთაისელი ტექნიკოსის ძმა მთელი ომის განმავლობაში ერთად იბრძოდნენ. ისინი ძმურად იყოფდნენ განსაცდელსა და სიხარულს. ჭამდნენ ერთი ქვებიდან, ლაშქრობებდა და მარშებზე ერთმანეთს ტვირთს უმსუბუქებდნენ; ისინი თვალის დაუხანხამებლად გასწირავდნენ თავს ერთმანეთისათვის, მაგრამ მტრის ტყვიამ ბოძოლის ველზე დასცა ქართველი ვაჟკაცი. უკრაინიომა ძმამ აკანკალებული ხელით გათხარა მისი სათლავი. ყველა ამჩნევდა, რომ ამ დღის შემდეგ მის შუბლზე ნაოქებმა იმატა... ომის დამთავრების შემდეგ ეფიმმა ინახულა თავისი ქართველი მეგობრის ოჯახი. დაღუპული გმირის ძმას, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს, ძმობა შეჰპოვდა და ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნა აღუთქვა.

ახლაც, ეფიმს გადაეწყვიტა თავის ქართველ მეგობართან გამოეველო ქუთაისში და მასთან ერთად ეხილა ისტორიული სახლი, სადაც დიდი სტალინი დაიბადა. დიდხანს შესცქეროდნენ ქართველი და უკრაინელი მეგობრები ფასდაუდებელ სურათებს, მაკეტებს, ნივთებს, სახლს, კარ-მიდამოს, ყოველივეს, რაც დიდი აღამიანის ცხოვრებასა და ბრძოლაზე მეტყველებს.

უკრაინელი პროპაგანდისტი ორიოდე წუთს კალამომარჯვებული იდგა შთაბეჭდილებათა წიგნთან. მან არ იცოდა, რით დაეწყო, როგორ დაეწყო. მას ალბათ თავისი გულისთქმის ჩასაწერად მთელი წიგნიც არ ეყოფოდა... ისევ მოკლედ ამჯობინა და, რაც თავის მღელვარე გულმა უკარნახა, სწორედ ის ჩაწერა. მან ჩაწერა, რომ უფრო ბედნიერი წუთი, ვიდრე ახლანდელი, მას არ ახსოვს და რომ ყველაფერი, რაც ამ უბრალო სახლში ნახა, არასდროს არ დაავიწყდება.

წერდა იგი და უკითხავდა ქართველ მეგობარს, ხოლო ეს უკანასკნელი კმაყოფილი უქნევდა თავს: სწორია, ჭეშმარიტია, მეც მაგის ჩაწერა მსურდაო.

ეფიმ სოლოპაი აქ დიდ ბედნიერებას განიცდიდა. პროპაგანდისტი ამაზე უამბობს კიეველ მუშებს, მოსამსახურებს; მისი საუბარი, მისი სიტყვა მეტ სიცოცხლესა და გზნებას შეიძენს... ხოლო ქართველი ტექნიკოსი დაუბრუნდება თავის საავტომობილო ქარხანას, რათა მეტი ენერგიით იმრომოს, რათა ქუთაისის მარკის ავტომანქანები უკრაინის უსაზღვრო სივრცეებში დასრილდნენ.

ასეთია მეგობრობის ძალა.

სტალინის სახლის ეზოს ჭიშკარი ფართოდ გაიღო. ლაღად მოაბიჯებდნენ შორეული ჩინეთიდან ჩამოსული სტუმრები. ესენი იყვნენ პიონერული მუშაკები, რომელთაც ალისფერი ყელსახვევი ეკეთათ და მკერდზე ჩინური ემბლემები ებნიათ.

როგორც კი გორს ჩინელი მეგობრების ჩამოსვლის ხმა მოედო, მყის გამოჩნდნენ მათ სანახავად მოსული მოსწაულებები, პიონერები, სულ პატარა ცეროდენა ბავშვებიც კი.

გულისფანქალით ათვალეირებდნენ ჩინელი ახალგაზრდები სტალინის სახლ-მუზეუმს. ისინი ძალიან ცნობისმოყვარენი გამოდგნენ. თითქმის ყველა მათგანი ცდილობდა რუსულად ლაპარაკს. უფრო მეტიც: მათ რამდენიმე წუთში ქართული სიტყვებიც დაისწავლის და უბის წიგნაკებში ჩაიწერეს.

— ტახტი... სკივრი... — იმეორებდნენ ნივთების ქართულ სახელოდებებს. ისინი განსაკუთრებით მოხიბლა ეკატერინე გიორგის-ასულის ნათელმა, სხივოსანმა სახიბ.

ჩინელი და საბჭოთა მეგობრები (ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები) ერთმანეთს კოცნიდნენ დამძვრი სიყვარულით და გულთბილი საობრის გაბმასაც ახერხებდნენ. მეგობრობას მსოფლიოში ერთი,



პატარა გორი — დიდია!

პატარა გორი დიდია,
ბევრის მომსწრე და მნახველი;
ქვეყნებში რეკავს ზარივით
მისი ქართული სახელი.

პატარა ქოხი დიდია
გორის ციხესთან ნაგები,
ერთმანეთს გადაშხვევიან
ეს ძველი ამხანაგები.

ორივეს ქებას უმღერის
ლიახვი დაუშრობელი...
პატარა გორი დიდია —
დიდრ სტალინის მშობელი.

ირაკლი აბაშიძე

საერთო ენა ჰქონია, რომელიც ყველა ეროვნების პატიოსან აღამიანს თანაბრად ესმის! ჩინელმა მეგობრებმა საბჭოთა ახალგაზრდებს მკერდზე დააბნიეს ჩინური ემბლემები, როგორც ძვირფასი საჩუქარი.

გორელ პიონერებს როგორღაც მოესწროთ და ასე უცბად დაეკრიფათ ყვავილები, რომელთაგან შეკონილი თაგულები სტუმრებს მოართვეს.

ყველას სწყუროდა თავისი დიდი სიხარულის გამოხატულება. სიმღერა თავისით დაიბადა; სხეული მოქნილი, ელასტიური გახდა... მთელი თავისი ხელოვნება უჩვენეს ერთმანეთს მეგობრებმა. ჩინელები სულგანაბული უსმენდნენ ქართულ და რუსულ სიმღერებს, მათ იზიდავდა სიმღერების სინარჩარე და მელოდიურობა... ატყვევებდათ ჩვენი ცეკვის სისწრაფე და სილაღე.

იმღერეს სტუმრებმაც. მათი სიმღერა ძლიერი იყო, როგორც ჩინელი ხალხის ნებისყოფა ახალი, თავისუფალი ცხოვრებისადმი; ნათელი იყო როგორც მათი იმედები, მათი მომავალი. როგორიღა იყო ცეკვები? შესანიშნავი! ხან დარბაისლური, ხანაც თავბრუსმომხვევი ექსტაზით აღსავსე...

ჩინელი ახალგაზრდობა პირველად მღერის სრული ხმით, პირველად ცეკვავს ასე ლაღად, ზედნიერად... ამიტომაც იგი ეგზომ მშვენიერი, წარმატებული.

ის-ის იყო დამთავრდა ცეკვა, რომ ერთმა ჩინელმა გოგონამ ყველა დამსწრის გასაოცებლად წკრიალა ხმით წამოიწყო „დილა“; შემდეგ მთელი დელეგაცია აჰყვა. სტალინის სახლის ეზოში თვალგაბრწყინებული ჩინელი ახალგაზრდები ქართულ ენაზე მღეროდნენ „დილას“. ვერ აგიწერთ, როგორი იყო ჩვენი სიხარული; და მთელი ამოდენა ხალხი, ყველა იქ დამსწრე აჰყვა სიმღერას. ეს იყო ჭეშმარიტად მეგობრობის, სიხარულის, ბედნიერების ნათელი სიმღერა, რომელიც აქედან თითქოს მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმოდა.

სათვალთვინი ჩინელი ახალგაზრდა წერდა და რუსულად თვითონვე თარგმნიდა შთაბეჭდილებათა წიგნში ხალასსა და ძვირფას სიტყვებს, რომლითაც დელეგაცია გამოხატავდა თავის გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს:

„ჩვენ დიდად ბედნიერნი ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ამხანაგ სტალინის — ჩინელი ხალხის ყველაზე ახლობელი მეგობრისა და მასწავლებლის სახლ-მუზეუმი. ამ მგზავრობის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა ამიერ-კავკასიაში და მისი უდრეკი საბრძოლო ნებისყოფა. სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენ ჩინეთის ახალთაობას აღვზრდით ამხანაგ სტალინის მოძღვრების სულისკვეთებით.“

რიგითი საბჭოთა ადამიანები სიყვარულით ადგამენ ფეხს ამ ძიღამოში. საღამომდე აქ 1.000-მდე კაცი იყო.

ყველა ამ ადამიანის მისწრაფება და სურვილი ხორცშესხმულად გამოხატა ერთ-ერთმა მოსკოველმა მოქალაქემ, რომელმაც თქვა:

„ამხანაგ სტალინის სახლისა და მუზეუმის ნახვა ღრმად გვაცნობს ჩვენი დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჩემი სურვილია, რომ ყოველივე გვაკეთო, რაც კი ძალმიძს, რადგან ჩვენი ეპოქის ადამიანის პირველი მოვალეობა სწორედ ეს არის... ამ სახლის ნახვა ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ამის შესახებ.“

უბრალო, რიგითმა საბჭოთა გოგონამ დერევიანკომ იმაფიოდ გამოთქვა იგივე გრძნობა:

„სკოლის მერხზე რომ ვიჯექი, მაშინაც ვოცნებობდი ამ დღეზე, როცა ვნახავდი ძვირფას სახლს, სადაც დაიბადა მშობლიური სტალინი. მისი ნახვა ყველგან და ყოველთვის მომიწოდებს წინ ვიარო და მთელი ჩემი ძალები სამშობლოს აყვავების, განმტკიცების საქმეს მოვანხარო... დაე, ჩემი ძალები მცირე იყოს! როდესაც იგი მილიონების ენერგიას ერთვის, მაშინ იგი უძლეველია; ეს შეგნება მიმყვება აქედან!“



ორჯონიკიძელი ბრვე ჭაბუკი უკვე მომავალი წლის ანგარიშში მიუშობს, სოლოპაი — მორიგი საუბრი-სათვის ემზადება, ჩინელი ბიონერული მუშაკები ჩინეთის ნორჩთაობას ზრდიან, მოსკოველი მოქალაქე მშვიდობის ვახტზე დგას, სოლო უბრალო რიგითი ქალიშვილი დერევიანკო სადგომო შრომის დასაცავად ემზადება... იზრდებიან, ვაჟკაცდებიან, კაცდებიან ჩვენი ადამიანები, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები. ამაში მათ ხელს უწყობს ამ პატარა სახლის ნახვა, — სახლისა, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა.

პატარა სოსო ახანაგაძე

ნახ. დ. ვოლგინისა

ვასილ ბაიბაძე


მთელი დღე გაურკვეველი რამ წუხილი შემოსწოლოდა გულს. სადღაც გულის სიღრმეში იგრძნობოდა მისი ფარული ფუსფუსი, რომელიც შეგნების სმენამდე ვერ აღწევდა, იგი ხელს არ უშლიდა მას მუშაობაში. დღესაც ურთულესი საკითხები იდგამის წინაშე. დღესაც ნათელი, პირდაპირი და უბოროტი იყო მისი აზროვნება, როგორც ყოველთვის. სადღაც გულის სიღრმეში მიმალული წუხილი კი მაინც თავისას განაგრძობდა დამოუკიდებლად. მაგრამ უდიდეს საქმეთა შორის, რომელთაც იგი უძღოდა, ამ მოვლენისათვის გულსყური ვერ მიეპყრო შესაცნობად.

მხოლოდ გვიან ნაშუადღევს განმარტოვდა თავის ოთახში. დაღლილი იყო და სავარძელში ჩაჯდა. ოთახში სიჩუმე იყო. ერთ ხანს გარინდული იჯდა. ნელა გატენა ჩიბუხი, მაგრამ, სანამ მოსწევდა, იგრძნო, რომ თავის ჩუმ წუხილთან დარჩა პირისპირ, და გულსყურიც მყისვე იმან მოსტაცა. შორეული ბავშვობა მოაგონდა. თვალწინ დედა წარმოუდგა და მშობლიური ქოხი, სადაც იზრდებოდა. თბილი ალერსი იგრძნო, მაშინ განცდილი, როცა პატარა იყო და მისი ფასი არ იცოდა. მისი ზრდის მონაწილე პატარა ლოგინი, ღარიბი დგამი თუ ჯამი ისე დაუდგენ თვალწინ, თითქოს სინამდვილეში ხედავსო. თითქოს თვალები ასხიათო, ისე შემოსცქეროდნენ. როგორ ხარო, სიყვარულით ეკითხებოდნენ და ბავშვობის საალერსო სახელს უწოდებდნენ. ჩვენც შენი ხნისა ვართო, გულუბრყვილოდ თავს უტოლებდნენ.

მშვიდი და წყნარი იდგა დედა შვილის წინ. გულზე ხელი დაედო და შვილისთვის თვალი თვალში გაეყარა. რამდენი შიში ღუნახავს შენტვის ამ გულსო — ამბობდა იგი.

აქ უცებ შეწყდა უცნაური ფუსფუსი იმ წუხილისა. ის სავარძლიდან ფიცხლად წამოდგა, თითქოს საშური რამ საქმე მივიწყებული ახლა მოაგონდაო. დარეკა. თითებში მოუთმენლობა უკრთოდა. სინანული და ჯავრი სახეზე გამოჰხატოდა.

მდივანი შემოვიდა ოთახში. ჰკითხა, შუაზნიდან ცნობა თუ არის იმ დედისერთას გადარჩენისა,



ტაშკენტიდან თვითმფრინავით გაგზავნილი ექიმი რომ უნდა მიმველებოდაო.

ექიმი იტყობინება, ბავშვი გადაარჩაო, — იყო პასუხი.

დამშვიდდა თითქოს, მაგრამ მაინც წარბებქვემოდან მდივანს ირიბად გადაჰკრა თვალი და ხელით ანიშნა, ცნობა მომიტანეო. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იმ ხელში ჩიბუხი ეჭირა, ამას წინათ გატენილი. ასანთს გაჰკრა. თითქოს ოთახში ქარი უბერავსო, ანთებულ ცეცხლს ხელისგული შემოაფარა, თვალები ოღნავ მოჭუტა და პირველი ბოლი მალლა აჟმვა.

მდივანმა ცნობა წინ დაუდო მაგიდაზე.

ჩიბუხზემოდან ელვის სისწრაფით გადაავლო თვალი მოტანილ ცნობას. და სიხარულმაც უმაღვე დაშალა მის თვალებთან მიჯრით მიყრილი ნაოჭები.

ლადო ქიკელი



ბ ა კ უ ვ ე ბ ი ს ი ბ რ ა კ ო ლ ნ ე ნ

რუსეთის პროლეტარიატის 1905 წლის პირველ რევოლუციაში, რომელიც უდიდესი სისწრაფით ვითარდებოდა და ქვეყნის ყოველ კუთხეს ედებოდა, როგორც ცნობილია, თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა მოსწავლე ახალგაზრდობამ. გაზეთი „ისკრა“, აფასებდა რა რსდმპ თბილისის კომიტეტის მუშაობას, აღნიშნავდა:

„მოსწავლე ახალგაზრდობამ სცადა შეექმნა ორგანიზაცია, რომელიც მოიცავდა თბილისის საშუალო სასწავლებელთა საკმაოდ დიდ რაოდენობას. ეს ორგანიზაცია ცემდა ბიულეტენებს. საზოგადოება ეცნობოდა სტუდენტთა მოძრაობის ამბებს. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის კომიტეტის ხელმოწერით უკვე გამოშვებულია რამდენიმე ნაბეჭდი ბიულეტენი, რომელიც ეხება მოსწავლის პიროვნების დაბეჭავების სისტემას, რითაც მთავრობა ფიქრობს ყავდეს თავისი მონები.“

დიდ ქართველ პოეტს ვაჟა ფშაველას, რომელიც გულმხურვალედ გამოეხმაურა 1905 წლის რევოლუციის ცეცხლოვან დღეებს, აღაფრთოვანებდა ის ამბავიც, რომ ქართველი მოსწავლე ახალგაზრდები მსმების, უფროსი ძმებისა და ამხანაგების მხარდამხარ იდგნენ, მათთან ერთად მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, მათთან ერთად გაიძახოდნენ: „ძირს თვითმპყრობელობა!“ და ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც შესწირა რევოლუციის საქმეს. აი, რას წერს ვაჟა გაზეთ „ივერიის“ 1905 წლის 17 თებერვლის ნომერში:

„მოთმინების ძაფი გაწყდა: აღარ ჰმალავს მშობერი სიმშლი, ნაცემი — ცემას, ტყვე — ტყვეობას, მონა — მონობას.“

ბალებმაც კი შეიგნეს თავიანთი ადამიანობა, ისინიც იბრძვიან, იღწვიან, ცდილობენ ადამიანური უფლებები მოიბოვონ“...

ვაჟას ეს სიტყვები სავსებით გამოხატავენ მაშინდელი პერიოდის საქართველოში არსებულ მდგომარეობას. არ ყოფილა არცერთი ქალაქი, არცერთი სოფელი, რომელსაც არ მოსდებოდეს რევოლუციის ცეცხლი. ამ ცეცხლით აინათო ახალგაზრდა თაობის სულიც.

ვის არ ახსოვს ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე სიტყვები, რომლებიც წრფელად გადმოგვცემენ ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლის განცდებს ამ ქარიშხლიან დღეებში:

„და თავისუფლების დილაც სისხლიანი დგება,
ეს ხსოვნაა წუთისა და აი,
მე ვისვრი,
მე — ვმირი არსენა,
ყუმბარას იმ ცხრაასხუთისას.“

დაჰკროდნენ პაეებად ბატონის წულები;

მე კი იმ წლებში რომ დამდალეს, ყოველდღე ვიგონებ ტკივილით, წყლულებით, იმ ალიხანოვის მათრახებს.

(„ვლადიკავკაზი — თბილისი“).

ეს ლექსი 1924 წელსაა დაწერილი, მაგრამ მისი სტრიქონებიდან თითქოს დგება ტანმაღალი 11 წლის ბავშვი, რომელიც ახალგაზრდული აგზნებით გადაეშვა რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხალში. აი, რას წერს იგი ერთ-ერთ თავის ბარათში:

„გიმნაზია და რეალური გაიფიცნენ, და იცოდნენ კიდევ რისთვის გაიფიცნენ: გიმნაზიისკენ მართული იყო ზარბაზნები, რეალურში კი უკეთ მოიქცნენ: ზარბაზნები ეზოში დააყენეს და თქვეს, რომ პირველსავე ხმის ამოღებასთან ქვას ქვაზე არ დავტოვებთო. ქუთაისიც იარაღდება, ქუჩებში მხოლოდ მარსელიოზას სმებილა ისმის“.

ამ დღეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს მაიაკოვსკოზე. შემდეგში, თავის ავტობიოგრაფიულ ნაწერებში, იგი მინიშნელოვან ადგილს უთმობს თავის საბრძოლო ნათლობას:

„გაჩნდა სიტყვა „პროკლამაცია“. პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ. ქართველებს კახაკები ჰკიდებდნენ. ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ. ვიწყე კახაკების შეძულება... 1905 წელი. სწავლისათვის ვის ეცალა...“

ჩემთვის რევოლუცია ასე დაიწყო: ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე ფენშიშველი მეხტა ქუჩაზე გახარებული — გენერალი ალიხანოვი მოჰკლესო. დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია.“

ანდა:

„მუშათა დემონსტრაციის დღეებში 1905 წელს, მე, 11 წლის ბავშვი, ქუთაისის ქუჩებში დავბოდი და ქართული რევოლუციური სიმღერების სიტყვებს გავეყიროდი.“

ქალაქ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ პოლიტიკურ დემონსტრაციებსა და გაფიცვებში, რომლებსაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. მოსწავლეთა მღვლვარებას და გაფიცვებს მეფის მთავრობა აქაც სასტიკი რეპრესიებით პასუხობდა. სასწავლებლები დახურეს. შეწყდა მეცადინეობა. რეალური სასწავლებლის მოწაფეებმა, გაიგეს რა მეცადინეობის შეწყვეტა, სკოლის ეზოში თავი მოიყარეს, წითელი დროშები აღმართეს და რევოლუციური სიმღერე-



ამხანაგი ი. ბ. სტალინი ჭიათურაში მიტინგზე ამხელს მენშევიკებს (1905 წ.).

ნახ. ს. ნაღარეიშვილისა

ბი წამოიწყეს. ბალახვანის ქუჩაზე გამოსულ რეალური სკოლის ორასამდე მოსწავლეს გიმნაზიის მოწაფეებიც შეუერთდნენ. ისინი სიმღერებითა და „ვაჟას“ ძახილით გაემართნენ წმიდა ნინოს სახელობის საქალბო სასწავლებლისაკენ.

პოლიციელებმა ვერ მოახერხეს ხელის შეშლა. ისინი გაიქცნენ. საღამოხანს ქუთაისის ქუჩები გავსებული იყო მოსწავლე ახალგაზრდობით. ისინი ჟანდარმთა სროლას სროლითვე პასუხობდნენ.

ქალაქის ბაღში ჩაკეტილ მოსწავლეებს კაზაკები ტყვიებს უშენდნენ. დაიწყო სამინელი რბევა. მამაცი ახალგაზრდები ქვებს ესროდნენ ირგვლივ მოთარეშე კაზაკებსა და ჩაფრებს.

მაშინდელი პერიოდული გამოცემები ამ ამბებთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ, რომ თვითმპყრობელობის მსახურთა ტყვიებმა ამ შეტაკებების დროს არა ერთი ნორჩი სიცოცხლე შეიწირეს... ეს იყო 1905 წლის 14 თებერვალი.

მაგრამ არ არსებობდა ძალა, რომელიც წინ გადაუდგებოდა ახალგაზრდობის მღელვარე ტალღას. 14 თებერვლის სისხლიანი დღის საპასუხოდ ქუთაისის წმ. ნინოს საქალბო სასწავლებლის მოწაფეები გაიფიცნენ და ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ. პროტესტის ნიშნად მათ სასწავლებლის ფორმა გაიხადეს.

1905 წლის რევოლუციურ დღეებში მოსწავლეთა მღელვარების ერთ-ერთი უდიდესი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მას სტიქიური ხასიათი არა ჰქონდა. მოსწავლე ახალგაზრდობა პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვა-

ნელობით გამოდიოდა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი, მუშათა გამოსვლების ხელმძღვანელობასთან ერთად, სწორი გზით წარმართავდა ახალგაზრდობის გამოსვლებსაც. თბილისის და სხვა ქალაქების მოსწავლეთა მოთხოვნები, რომლებიც მათ სასწავლებლების ხელმძღვანელობას წაუყენეს, თავიანთი დემოკრატიული ხასიათითა და პოლიტიკური შინაარსით ბევრად სცილდებოდა სკოლის შინაგარეობის ფარგლებს. აი, 1905 წლის იანვარში რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ გამოცემული ქალაქ თბილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მოთხოვნები:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის განახლება მთლიანად რუსეთის პროლეტარიატის ხელშია. ამიტომ ჩვენ, ქალაქ თბილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი მხარს ვუჭერთ ამ მოძრაობის ხელმძღვანელს — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ჩვენი მხრივ ვაყენებთ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ამხანაგური ორგანიზაციების ჩამოყალიბების თავისუფლება.
2. უფასო სწავლება.
3. მოისპოს სკოლების უფროსთა ჩარევა მოწაფეების კერძო ცხოვრებაში.
4. ამხანაგური სასამართლოების ჩამოყალიბების თავისუფლება.
5. მიღებულ იქნას სასწავლებლებში ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

6. მშობლიური ენების სწავლების თავისუფლება სასწავლებლებში.

7. უფლება მიეცეთ მოსწავლეებს თავიანთი შეხედულებისამებრ გადააყენონ მასწავლებლები.

8. ამოღებული იქნას სასწავლო საგნებიდან საღვთო სჯული.

9. პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის თავისუფლება.

დარწმუნებულნი, რომ ყველა ეს მოთხოვნა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ახალ რუსეთში, რომელიც აგებული იქნება დემოკრატიულ საწყისებზე, ჩვენ მხარს ვუჭერთ მთელი მოწინავე რუსეთის ძახილს:

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

შავრაზმელთა მიერ მოწყობილ ე. წ. „პატრიოტულ მანიფესტაციებს“ თბილისის მოსწავლენი პროტესტით პასუხობდნენ. ფაქტისგანთ თუნდაც თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა მოქმედება. იუნკრებისა და კადეტების მიერ შედგენილმა რაზმმა პირველი გიმნაზიის შენობასთან თავმოყრილ გიმნაზიელებს მუქარით მოსთხოვა ქუდები მოეხადათ. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა არ შეუშინდა ამ მუქარას. არცერთმა მათგანმა ქუდი არ მოუხადა შავრაზმელთა ხროვას. მაშინ მეფის მთავრობის დამქაშები, აღმფრთხილებელი ამ „შეუწყნარებელი“ მოქმედებით, მხეტურად დაერივნენ მოსწავლეებს... ეს მოხდა 22 ოქტომბერს. გიმნაზიის შენობასთან თავმოყრილ მოსწავლეებს 32 ამხანაგი სამუდამოდ ჩამოაცილა ვერაგების ტყვიამ, 60 მოსწავლე დაიჭრა. ნაძირალებმა ესეც არ იკმარეს, ისინი შეიჭრნენ გიმნაზიის შენობაში, დაარბიეს იგი, გაძარცვეს სკოლის ქონება, ფიზიკის კაბინეტი, წიგნსაცავი, მოიპარეს მოსწავლეთა ნივთები. ასეთი მძლავრი იყო მეფის მთავრობის სიძულვილი მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ, — იმ ახალგაზრდობისა, რომელიც რევოლუციური მრწამსით იყო გაყენებული და თავის ნახევრადბავშვურ ხმას უერთებდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ გამოსვლებს. მათი შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს ძმობას, ერთობას!“ თავზარსა სცემდა დაღუპვისათვის განწირულ მეფის ტახტს. მათ მიერ გავრცელებული პროკლამაციები რევოლუციის ცეცხლს უკიდებდა მშრომელ მოსახლეობას.

ეს ბავშვები „მარსელიოზას“ სიმღერით აცილებდნენ უკანასკნელ გზაზე 1905 წლის გმირულ ბრძოლებში დაღუპულ უფროსებსა და ტოლებს. რსდმპ კავკასიის მამაცი რევოლუციონერები მათ უყურებდნენ, როგორც საუკეთესო ცვლას. კავშირის კომიტეტის მიერ ამ მღელვარე დღეებში გამოცემული იქნა ბაქოელი მასწავლებლის, რევოლუციონერი ვასილევს წერილი, რომელიც იგი მოუწოდებდა ქართველ მოსწავლეებსა

და ახალგაზრდობას განმათავისუფლებდნენ ბრძოლისაკენ.

„...ჩვენ გამოვიართ სახელოვანი დღეები, რომლებიც ჩვენს მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება, — წერს ვასილევს. — წყნარმა და დაბეჩავებულმა მცხოვრებლებმა თითქოს გამოიღვიძეს ხანგრძლივი, მძიმე ძილისაგან და უცბად იქცნენ ამაყ ადამიანებად, სახელოვან მოქალაქეებად! მოუმიფიქვებელი ახალგაზრდები ანაზღად გაიზარდნენ და ისე დაიწყეს ლაპარაკი, მოქმედება, როგორც შეგნებულმა, თავიანთ სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებულმა ვაჟაკებმა!

...თქვენ დაუმტკიცეთ ყველა თქვენს ამხანაგს, მთელ ქალაქს, რომ თქვენმა ბრმა მასწავლებლებმა ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაგაბრმავეს, ჯერ კიდევ ვერ ჩააქლეს თქვენში ცოცხალი ადამიანური სული. თქვენ გულისხმიერად გამოეხმაურეთ მოახლოვებულ ჭეჭა-ჭუხილს, საზოგადოებრივი გულისწყრომის მეხის გავარდნას, და თქვენი ახალგაზრდული ხმები შეუერთეთ მამაც მებრძოლთა მძლავრ მოწოდებას: ძირს დამნაშავე მეფის თვითმპყრობელობა! ძირს მკვლელები! და ყველა პატიოსანმა მოქალაქემ მოიწონა თქვენი მოქმედება. თქვენ უნდა გაამართლოთ ეს მოწონება! გახსოვდეთ ახლანდელი მომენტის მნიშვნელობა და სიღიადე!

დაამტკიცეთ, რომ განახლებულ რუსეთს ღირსეული მოქალაქეები ეყოლებით“.

უფროსი ამხანაგების, რევოლუციონერების ეს ნდობა არც არასოდეს გაუმტყუნიებია ახალგაზრდობას. 1917 წლის ისტორიულ დღეებში ისინი, უკვე დავაჟაკებულნი, მხარში ამოუდგნენ რუსეთის პროლეტარიატს; „ავრორას“ ქუჩილით მასთან ერთად ახარეს თავისუფლება სამყაროს, მასთან ერთად შეუტიეს ზამთრის სასახლეს და მსოფლიოს მეექვსედს ბედნიერებისა და თავისუფლების დღეები მოუტანეს. ეს ისინი იცავდნენ მკერდით ინტერვენციის მძიმე დღეებში საყვარელ საბჭოთა სამშობლოს. ისინი შეუდგნენ მშვიდობიან შრომას და მშენებლობას. ისინი მისდევნენ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ნაჩვენებ ბრწყინვალე გზას კომუნისმისას.

საქართველოს სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე თავის ერთერთ ბრწყინვალე ლექსში „ღროშები ჩქარა“ წერს:

„დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა;
მათ ხსოვნას ქვეყანა სანათლებად აინთებს,
ღროშები ჩქარა!“


საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდა თაობა არასოდეს არ დაივიწყებს, რომ ამ წამებულ რაინდთა შორის მრავალი მათი ასაკის ბავშვია. რომ თავისუფლების წითელი ღროშა მათი სისხლითაა შეღებილი.

ნაზი კილასონია
რაჰვზ ბარაკალიაი

საახალწლო

გოგონებო, ჭაბუკებო, განთიადი
და ცხელი მზე
თქვენს მომავალს ნათელს ჰფენდეს.
ჯანმგარი, მხნე ახალი წელიწადი
ბედნიერად გაგვიტენდეს!
ბეჯითებო, თქვენი მაჯა, თქვენი გული
ჩვენი ხალხის სასიკეთოდ მუდამ სცემდეს.
დავაუკაცდით ჩვენი ქვეყნის სიყვარულით,
ბედნიერად გაგიტენდეთ!
ყმაწვილებო, სიმღერები მოხდენილად
თქვენს გულებში,
თქვენს ოჯახში მარად უღერდეს,
თქვენთან ერთად, ახალი წლის ტკბილი დილა
ბედნიერად გაგვიტენდეს!
და ვინც გარჯას,
მშობლებს, და-ძმას ჩვეულ ყადრით
სკოლაში თუ სკოლის გარეთ პატივს სცემდეს,
მას მრავალი გამარჯვების წელიწადი
ბედნიერად გაუტენდეს!
მეგულებით ერთგულები, გულითადი,
მტერს და საქმეს
ვაუკაცურად მუდამ სძლევედეთ,
თქვენ, ყოველი სიხარულის წელიწადი
ბედნიერად გაგიტენდეთ!

ქ. გოგიაშვილი



კახლის პარსკვლავი გვიღობავს

ლაჟვარდი ჰყვავის იისფრად —
თითქოს ჰყვავიან იანი
და სიმღერებში თენდება
დილა პირველი იანვრის.

ახალგაზრდული ომანით
და ძველი სიხოცნითა
ალაშქრებული დროშებით
ახალი წელი მოვიდა.

მზე არის შინ და გარეთა,
ცას ვუმზერთ დაიმედებით,
ფიფქების ნაცვლად ფანჯარას
მოაწყდნენ თეთრი მტრედები.

დედა-სამშობლოს შევხარით,
გვიყვარს დედაც და მამაცა,

დიად საბჭოთა ქვეყანას
ყველა ვეზრდებით მამაცად.

ჩვენ კომუნისმის მწვერვალზე
ალისფერ ალამს ავიტანთ,
დღეს ახალი წლის გარიყრას
ვხვდებით ბეჯითი სწავლითა.

ლაჟვარდი ჰყვავის იისფრად —
თითქოს ჰყვავიან იანი,
დროშების ცეცხლში თენდება
დილა პირველი იანვრის.

თავზე დაგვნათის სამშობლოს
ვრცელი და უნაპირო ცა
და ახალი წლის განთიადს
კრემლის ვარსკვლავი გვილოცავს.

კახანაშვილი



პალა სინისელი

ნახ. კ. მახარაძისა

თ ა მ ბ ა ქ ო

შურაბ სავანელი და მისი მამა ვახილ სტეფანეს-ძე ვებერთელა ბაღში გაზონის წინ იხსდნენ, ლურჯად შედებილ გრძელ სკამზე, და ტკბილად საუბრობდნენ. ბაღში საკმაოდ ბევრი იყო მოსიერი ხალხი, მაგრამ ისინი ყურადღებას არავის აქცევდნენ.

ამ დროს მათ წინ ვიღაც დიპიანმა კაცმა გაიარა და პაპიროსის ნამწვი ისე დაუდევრად მოისროლა განზე, რომ პაპიროსი შურაბს მიუვლო ფეხებთან. ბავშვმა უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი მის ფართე შურკს და მამისაკენ შემობრუნდა — აბა, რას იტყვის ასეთ საქციელზეო. მაგრამ ვახილ სტეფანეს-ძეს არც კი შეუნიშნავს ეს გარემოება. იგი მუხლი-მუხლზე შემოდებული შორს იტყირებოდა სადღაც და ფიქრობდა. შურაბმა ფეხი გაჰკრა პაპიროსის ნამწვს და მუყაოს ტარიდან გამოვარდნილ თამბაქოს პატარა გორგალს დაატყერდა, რომელიც ხუთიოდე სანტიმეტრზე გაგორდა, ერთ ხანს იბოლა და ჩაქრა. მერე შემობრუნდა მამისკენ და ბავშვური ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— მამო, რატომ არ ეწევი პაპიროსს?
 — როგორ, გინდა რომ ვეწეოდე? — ჰკითხა თავის მხრივ მამამ.
 — არა, ისე... — უხერხულად მიუგო ბავშვმა.
 — ისე, რა საქიროა! — გამოაჯავრა მამამ. — თამბაქო შეიცავს შხამს — ნიკოტინს, რომელიც ვნებს გულს, ფილტვებს, ნერვებს. რა საქიროა მისი მოწევა!

— მაშ, რაღად ეწევიან ამდენს?
 — განა იმიტომ ეწევიან, რომ სასარგებლოა? პაპიროსს მხოლოდ ეს ეწევა, ვისაც შედარებით ნაკლებად წყენს ნიკოტინი. ხოლო ისეთი ადამიანი, რომელსაც ეს შხამი არა ენებს, დედაშიწის ზურგზე არ მოიძებნება. პაპიროსის წევა ცუდი ჩვეულების შედეგია და მეტი არაფერი. ზოგი ბავშვობიდანვე იჩევევა, მერე კი ძნელია გადაჩევევა.

— თუ ასე მავნებელია, რაღასთვის გამოდის გასაყიდად?
 — გასაყიდად იმიტომ გამოდის, რომ ხალხი ეწევა.
 — ნუ გამოვა და აღარ მოწევენ!
 — ეეჰ, როგორ არ მოწევენ, ბიჭო, დათესენ, მოიყვანენ და მოწევენ. თამბაქოს ფოთლის ხელისგულზე ფშხვანს და გაზეთის უხეშ ქაღალდში შეხვეულის წევას კი გაცალგებით ჯობია ისევ სახელმწიფომ დამაზადოს ფაბრიკებში დამაზი და სუფთა პაპიროსები, რაც შედარებით ნაკლებად მავნებელი იქნება ჯანმრთელობისათვის...

გაჩუღდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შურაბმა დაარღვია სიჩუმე:
 — მამო, არასდროს არ მოგიწევია პაპიროსი?
 — როგორ არა, შენი ტოლი რომ ვიყავი, მაშინ ვეწეოდი. ბავშვმა გაკვირებით შეხედა მამას. ვერ გაეგო რას ნიშნავდა ასეთი აგდებული პასუხი და საყვედურის კილოთი ჩაიღულუნა წყნარად:
 — მე რა, მე როდის ვეწევი პაპიროსს!...

მამა მიხვდა, რომ შვილს შეურაცხყოფა მიაყენა უნებ-
ლიედ და შეცდომა რომ გამოესწორებინა, დაყვავებით უთხ-
რა:

— არა, ვიცი, რომ შენ არ ეწევი. მართალს გეუბნები,
ბავშვობისას მართლაც ვეწეოდი თამბაქოს, მაგრამ შემდეგ
დავანებე თავი. მგონი შენთვის არაფერი მითქვამს ამის შე-
სახებ. აი, დამიგდე ყური და ყველაფერს დაწვრილებით
გამამობ.

* * *

ალბათ, ხშირად გაგიგონია ჩემგან, რომ თორმეტ წლამდე
სოფელში ვიზრდებოდი, — ასე დაიწყო ვასილ სტეფანეს-
ძემ თავგადასავალი. — ბავშვობაში ძალიან დაუსწრელი და
მარდი ვიყავი, ამიტომ ყველას ვუყვარდი და ხშირად შე-
ნატროდნენ კიდევ ჩემს მშობლებს: „ნეტა თქვენ, რა ყოჩაღი
ბები გყავთო“. ჩემს ტოლებთანაც სამაგალითო მეგობრული
დამოკიდებულება მქონდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდ ბი-
ჭებს ვუყვარდი. როგორც იტყვიან, თვალში რომ ჩაგვარდნო-
ლი — ხელს არ ამოისვამდნენ. ასეთი დიდი სიყვარული
მათში განსაკუთრებით იმით დავიმსახურე, რომ ენის მიტან-
მოტანა მძულდა. თუ ისინი ბევრ ჩემს ტოლთაგანს კისერში
წამოჰკრავდნენ ენატანობისთვის და სახლში ატარებულს.
გაუშვებდნენ, მე გვერდით მომისვამდნენ და ხშირად მასა-
ჩუქრებდნენ კიდევ: სრული უფლება მქონდა, თუ კი მოგო-
სურვებდი, ვყოფილიყავ მათთან იმ დროსაც, როცა ისინი
მოფარებულში თამბაქოს აბოლებდნენ, იმ დროსაც, როცა
გემას აწყობდნენ ღამით საღმრთო ბაღში გადასაპარავად...
რაკი ასეთი დიდი ნდობა მქონდა მოხვეჭილი, თანაც მათი
ქხოვრება ჩემთვის საინტერესო მოვლენებით იყო სასვე,
ავგამოდებით ვცდილობდი ჩემი უფლებამოსილება შედმი-
ქვანით გამომიყენებინა და, როგორც კი მათ ერთად შეგჯუ-
ფებულს დავინახავდი, მაშინვე მოვცილდებოდი ტოლებს,
ქონდროსკაცივით ჩავდებოდი მათ შორის და თითოეულს
გაფაციცებით შევცქეროდი თვალგებში.

სულით და გულით ვცდილობდი მეც ისეთი ვყოფილიყავი,
როგორც ისინი იყვნენ. მალე ისეთი მოხერხებული გაგზიდი,
რომ ხილის მოპარვაში ბადალი არა მყავდა, ხოლო შემდეგ
სხვა მაგნე თვისებებთან ერთად თამბაქოს მოწივასაც შეეგო-
ვი. პირველად სასტიკად მიკრძალავდნენ ჩემი კეთილის-
მყოფლები და, როდესაც მათ მიერ გადაგდებულ ნაშვებს
ნაშაღვად წაწვდებოდი, მკაცრი მუქარით მაგდებინებდნენ
ხელიდან: „თავი დაანებე მაგ სისულელოს, თორემ ახლო
აღარ გაიკარებთო!“ მიკრძალავდა — ბრძანებას
გასრულებდი, თუმცა ჩემი მომად მინც ვალწიდი მიზანს.
მაგრამ, ერთხელ, როდესაც მათ გაშითის ქალაქში შეიხვედნენ
თამბაქო, მე კი გრძობილად მივა პაპიროსი ამოაოროცე
ჯიბიდან, რომლიც ერთ-ერთ ჩვენს სატომარაგანს მოპარე
სახლში. ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს და გულიანად
გაიხიზარდნენ.

ერთმა ისიც კი მითხრა, ნახევარი დამიტოვეო. მას შემდეგ
თვითონვე გამიხვედნენ ხოლმე წვრილად და მწარუნელო-
ბით მიკრძალავდნენ: „ცოტ-ცოტა ჩაისუნთქე, თორემ გულს
გატკენსო“.

მშობლები არ მიშლიდნენ დიდებთან სიარულს. პირიქით,
როგორც ვაჭარობდი, მამაჩემს მოსწონდა კიდევ, რომ დიდ
ბიჭებთან ვერდილი მარაქავდი. მაგრამ ერთმა საშინელმა შემ-
თხვევამ ისე გააცმადიარა ჩემი უსილოებები; რომ კინაღამ
საშუღამოდ ამომავეთინა ფეხი მათთან სიარულზე.

* * *

სამხრობა იქნებოდა გადასული, რომ აღამაანთ ლიქსო
მოადგა ჩვენი ეზოს მესერს და გადმოიმძახა: „კალში ნაბამი
ხარები მიშყავს საძოვარზე და თუ გინდა წამომყეო!“ მე სი-
ხარულით დავთანხმდი. რომ არ მომშინებოდა საღამომდე,
კარგა მოზრდილი პურის ნატებს გამოვარბენინე სახლიდან
და გზას გავუღდე. ცოტა რომ გვიარეთ, წინ მამაჩემი

შეგხვდა, — იგი სოფლის კოოპერატივში მუშაობდა და
და იმ ხანად ბრუნდებოდა შინ. მამას ისე, როგორც სხვა
დროს, ახლაც არაფერი გამოუკითხავს ჩემთვის და დამშვი-
დებით გავყავი ლექსოს. ჩვენ ჯერ ხარები ვარწყულეთ
რუზე, ბუზებითა და კალოს მტვრით გავსებულნი თავ-პირი
სველი ხელებით მოვწმინდეთ, შემდეგ მომიკლ ყანაში შევ-
დენეთ და მოშორებით რომ დიდი მუხა იყო გადმომდგარი
იქით გავემართეთ ზოზინით. იქვე ჩრდილში ჩავსხედით და
საქმეს შევუღდე: მე ტირიფის ტოტებს დავუწყე გაქერქ-
ვა, — წელან ქალაში რომ დავამტვრიე (ლექსომ კარგი
მოლტების დაწვინა იცოდა), თვითონ ლექსომ კი ჯიბიდან
კონტად დაკეცილი ვაგეთის ქაღალდი ამოიღო და თამბაქოს
შეხვევას შეუღდა. მე პირი ავაწყლაუნე თამბაქოს დანახვაზე
და ლექსოს თვალი ჩავუყარი — მეც მინდა-მეთქი. მან ისე,
როგორც სხვა დროს, ახლაც გამიხვია წვრილად, და რადგან
ისე გაშლილ ადგილას ვისხედით, რომ უცაბედად ვერავინ
წამოგაწყვდებოდა თავს, დამშვიდებით გავაბოლეთ.

— იმ დღეს ძან გადავრჩით! — წამოიწყო ლექსომ.
— როდის?
— აი, ძია პეტრემ რომ წავგასწრო თამბაქოს წევაზე.
— ჰოი!...
— შეგონა გავთქვამდა, მაგრამ, დალოცა ღმერთმა, კაი
კაცი ყოფილა!

— იმისთანა კაცი მთელ სოფელში არ მოიძებნება. —
დაუფლასტურე მეც.

— მე შენზე შემეშინდა, თორემ მე რა! — დაიწყო ისევ
ლექსომ. — ჩვენებმა იციან კიდევ რომ ვეწევი. გინდაც არ
იცოდნენ რა უნდა მიქნან, ხომ ვერა მცემენ? შენ კი პატარა
ხარ ჯერ...

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით გართული, უცბად ვიღაცამ
ჩაახველა. მე სასწრაფოდ გავსრისე ფეხით პაპიროსი და
დაფეთებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. ლექსომაც დააქცია
თვალები, მაგრამ პაპიროსი არ გადაუგდია და კისერიც ისე
წანტად მოდრიცა გვერდზე, თითქოს აქ არაფერიყო.

გაკვირვებით შევხედეთ ერთმანეთს.

— რა იყო, საიდან იყო? — ვიკითხე მე.
— ალბათ, ხარმა დაახველა, იცის ხოლმე ასე. — დამშვი-
დებით მომიგო ლექსომ.

— ეჰ, აბა შეხედე ხარები სად არიან, ის კი ახლოდან
იყო!

— მაშ რა იქნებოდა?
— რა ვიცი!...

მე ჩემს პაპიროსს დავაცქერდი, რომლის ქაღალდი ბალა-
ხებს მოქცეოდა ზემოდან, ხოლო თამბაქო მიწაში ჩატკეპ-
ნილიყო, და სინანულით წამოვიძახე: „აჰსუს ჩემო პაპირო-
სო, რა ტყუილად გავსრისე-მეთქი!“ — მერე ლექსოს მი-
ღუბრუნდი და შევეხვეწე კიდევ გაეხვია. მან გაიცინა, ერთი
ნაფაზი დაარტყა და ისევ გამიხვია. მე პაპიროსი გამოვართვი
და პირში ჩავიდე. მაგრამ, როდესაც მოსაკიდებლად მომი-
მარჯვა თავისი პაპიროსი, ვიღაცამ განრისხებით გამოსცრა
კბილებიდან: „ცხვირზე მიადე, ცხვირზეო!“ მაშინვე წა-
მოვბტი თავწარდაცემული და თვალთ დამიხნელდა — მუ-
ხაზე მამაჩემი იჯდა.

იგი ნელ-ნელა ჩამოყვა ტოტებს. მიწას რომ დაუახლოვდა
ჩამოხტა და დონიჯშემოყრილი დავადგა თავზე.

— ყოჩაღ ლექსო! — აღვღვებით მიმართა ლექსოს, —
იმის მაგივრად, რომ ტუტუც ბავშვს უშლიდეს სიკვალახს,
პირიქით ხელს უწყობს ყოჩაღ! მე შევეუთვლი შენს ძმებს
ქალაქში, რომ შარვალიც კი აღარ გამოვიგზავნონ, რაკი
აგრე ქვიანია ხარ! სირცხელი შენ!

ამ ლაპარაკის დროს მე ლექსოსკენ გავაპარე მხერა, მაგ-
რამ ნეტა არ დამენახა. ის თავჩაქინდრული ჩამოგდარყო
ბალახებში და კისრამდე გაწითლებული მწარედ იღიმებოდა.



— იმ დღეს ძაან გადავჩიო! — წამოიწყა ლექსომ.

— შენ კი, ვაუბატონო! — მერე მე მომიბრუნდა მამა, — საღამოს შინ არ მოხვალ! საღაც გინდა წადი, თავისუფალი ხარ!

ამ სიტყვებთან ერთად ნერვიულად გაიქნია ხელი და ჩქარი ნაბიჯით გასწია სახლისაკენ.

* * *

მამაჩემი არ იყო მკაცრი ადამიანი, მაგრამ მაინც სიკვდილივით მოველოდი საღამოს და ვნატრობდი ბუნება ისე შეტყეოლიყო, რომ სულ დღე ყოფილიყო — აღარ დაღამებულყო. ლექსო მრავალნაირად მანუგეშებდა, ხოლო ერთხელ შემომიტია კიდევ: „რას ჩამოყარე ყურები, ბატკანი ხომ არა ხარ რომ დაკვალს მამაშენნაო!“ მაგრამ ბევრს ვერას მშველოდა მისი სიტყვები და ჩემი დანაშაულის ყოველი გახსენება მუხლებში ძალას მართმევდა. რა პასუხი უნდა მიმეცა მშობლებსათვის? სხვას რომ მიეტანა ამბავი, კიდევ ჰო, რაღაცას ვიწამდი: გავკერბდებოდი, გავჯოუტდებოდი, ვიტყუდი ტყუილია-თქო, მაგრამ ახლა! მამაჩემმა თვითონ დამინახა და ისიც როგორ!...

როდესაც შებინდა, ლექსომ ყუიინით წამოუარა დამადარ ხარებს და სოფლისაკენ წავდენით ნელ-ნელა. მე ძლივს მივათრევი ფეხებს. ლექსო კი, არ ვიცი ჩემი გამხსენების მიხნით თუ იმის გამოსახატავად, რომ დიდად არაფრად აგდებდა დღევანდელ ამბავს, ღიღინით მოაბიჯებდა გზაზე და თამბაქოც, მას შემდეგ რაც მამაჩემმა გაგვიცხა, რამდენჯერმე კიდევ მოწია. უბანში რომ შევედით, შემაჩერა და თანაგრძნობით მირჩია: „თუ მართლა გამოგადოს მამაშენმა სახლიდან, ჩვენთან მოდი, ერთად დავიძინოთო!“ მე კარგად ვიცოდი რომ, თუ კი გავბედავდი სახლში მისვლას, საამისო არა გამოიქრდებოდა, — მამაჩემი ადრეც ბევრჯერ დამირუბია დასჯას, მაგრამ ყოველთვის იოლად გადავჩენილვარ. ოღონდ მისვლა იყო საქმე: მშობლებთან ურცხვი პირით გამოჩენას ბევრად მერჩია სადმე სხვაგან გამეთია ღამე, მაგრამ ლექსოს რჩევას მაინც ვერ მივიღებდი, რადგან მისი მშობლებისაც მერიდებოდა ძლიერ. ამიტომ გადავწყვიტე, სანამ სოფელი მიიძინებდა, მეზობლის ბავშვებთან დამალობანას თამაშში გამეტარებინა დრო, ხოლო შემდეგ ღამის გასათევად ქოხში შევმძვარლიყავი.

მაგრამ აღარ დამჭირდა ამდენი დავიდარაბა: სახლში მისვლა რომ შევაგვიანე, დედაჩემმა თვითონ მომძებნა და მისივე წყალობით იმ დამსვე შემირიგდა მამაც. ოღონდ მუშტი ცხვირთან მომიტანა და მუქარით მითხრა: „თუ კიდევ შეგასწარი თვალი დიდ ბიჭებთან გავლილს, იცოდე, აგიყვან და კვახივით დაგახეტებ მიწაზეო!“ მე თავჩაქინდრული ვიდქეი მის წინ და ენის ბორძიკით აღვუთქვი, რომ ფეხს აღარ დავადამდი მათ ახლო. მაგრამ იქვე ვგრძნობდი, რომ ტყუილს ვამბობდი, რადგან თუ სოფლიდან არსად გადავიხვეწებოდი, ყველგან შეიძლებოდა უნებლიედ გადავყაროდი მათ. რასაკვირველია, ეს გარემოება თვითონ მამაჩემმაც კარგად იცოდა, მაგრამ გულისწყრომა რომ უფრო მძლავრად გამოეხატა იმითომ დამტყუქსა ასე. მთავარი კი, რასაც თქმა აღარ ესაქიროებოდა, ის იყო, რომ თამბაქოს აღარ ვაკვარებოდი. მართლაც, მტკიცედ გადავწყვიტე ასეც მოვქცეულიყავი და, თუ სურვილის წინააღმდეგ კვლავ მოვხვდებოდი დიდ ბიჭებთან, თამბაქოსაგან თავი შორს დამეჭირა.

მაგრამ სულ მალე ისეთი უგვანო საქციელი ჩავიდინე, როგორც მანამდე ფიქრადაც კი არ მომსვლია და მამაჩემთან მიცემული სიტყვა თავისთავად გაცურდა ყინულზე.

* * *

მშენიერი დილა იყო — კისკასი. წინა დღის წვიმით განბანილი ბუნება ღამაზად ახელდა თვალს და ივლისის მზის ალერსით სტებებოდა. ახლად პირდაბანილი და ქოჩორდავარცხნილი ბოჩოლას მივდენიდი შარაზე. წყნარად ვლიონებდი. პაპა თედორეს დაბალქერიან სახლს რომ გავუსწორდი, ჩურჩული შემომესმა ეზოდან. ვიღაცა მიხმობდა თავისკენ. უმალვე გავიხედე იქით და ღობესთან მიმდგარი ჩვენებთან გიგა დავინახე, რომელსაც მეტსახელად „ჯადოს“ ეძახდნენ. იგი აჩქარებით მიქნედა ხელს და რაღაცას ჩურჩულებდა. ბოჩოლას თავი მივანებე, ქიშკართან ფხაკერფით მივედი და ფრთხილად შევადე კარი. გიგა მომიხლოვდა, მხარზე ხელი მომხვია და თითქოს ეშინია, ვინმემ არ გაიგოსო, სწრაფად მიჩურჩულა:

— პაპა თედორე შინ არ არის — ვენახშია წასული. აგი, სარკმელს შეხე, — ღია! — კედელში ჩასმულ პატარა სარკმელზე მიმოითვა: — მაგის ჩასწვრივ კედლის ძირში სკივრაში მიდგმული. სკივრაში პაპა თედორეს კახური თამბაქო აქვს ჩაღაგებულნი დასტებად. ვცადე გადაძრომა, მაგრამ ვერ გავეტიე. შენ ადვილად გაეტივი, პატარა ხარ! მიდი რა, ერთი შეკვრა თამბაქო გადმომიტანე! მე აქ ვიქნები, საშიში არაღერია, მიდი!

და ამ სიტყვებთან ერთად ზურგში მიბიძგა. პირველად რომ შევხედე გიგას, როცა ის გაფაციცებით მიხმობდა თავისკენ, გამეხარდა კიდევ. ვიფიქრე, ალბათ, რაიმე საინტერესო ნახამეთქი. მაგრამ ახლა, როცა მისგან სრულიად საწინააღმდეგო რამ გავიგე და თანაც შეურაცხყოფელი დავალება მივიღე, უარის ნიშნად თავი დაბლა დაგხარე და ნირწამხდარმა ფეხსაცმლის წვერით მიწას დავუწვი ჩიჩქნა. მაგრამ გიგა ჩემზე გაცილებით უფრო მოხერხებული იყო. მე ისე ვყავდი შესწავლილი, როგორც ხუთი თითი. ამიტომ, რაკი შემატყო, რომ იოლად ვერ დამითანხმებდა, მოქმედების ხერხი გამოცვალა და სულ სხვანაირად მიმიღვა.

— გეშინია? — სიცილით შემეკითხა.
მე თავი გავაქნიე უარის ნიშნად.
— მამ?

— სახლიდან როგორ მოვიპარო თამბაქო! — წავილულულე ხმადაბლა.

— ეეჰ, ერთი შენც დამიწყე რაღა! — სიტყვა ბანზე ამიგდო მან და, გაიხედა რა შავად გამურული სარკმლისკენ, დანანებით განაგრძო: — ვეტეოდე — მე ვიცოდი, მაგრამ ახლა რა უნდა ვქნა?

ერთ ხანს ჩაფქვრებით უტყვირა, მერე მივიდა ანლო, სარკმელის ჩარჩოს ჩაებლაუქა და ზედ შეფორთხდა. შეეცადა გამჭვრალიყო, მაგრამ ცალი ბეჭი და თავი ძლივს გასტია. ჯერ უძრავად იყო იდლიით ჩამოკიდებული, მერე კი ლაზ-ლანდარობას მოჰყვა: ხან ტლინებს ისროდა მალლა და ყვიროდა: „მიშველეთ, გავიქედლო!“ ხან კი პაპა თედორეს ეძახდა: „სადა ხარ, ცოტა თამბაქო მიწილადეო!“

მე გულიანად ვიცინოდი მის გაბედულ ხუმრობაზე და, რადგან შევატყვე, რომ არსაიდან არავითარი საშიშროება არ მოგველოდა, ისე გავხალისდი, რომ ფეხებზე მოვებლაუქე და შევეხვეწე: „ჩამოდი, მე გადავძვრები-მეთქი“.

ის ხალისით ჩამოხტა ძირს და სარკმლამდე ამწია. თან დამარია „თამბაქოს რომ ამოიღებ — გარეთ გადმოაგდე, მერე ამოცოციდი სარკმელთან და ძირს მე ჩამოგსვამო!“ მე თავისუფლად გადავძვერი შეგნით და ზედ სკივრის თავზე მოვადინე ბრაგვანი. ოთახში საკმაოდ ბნელიდა და სიგრილე იდგა. თითქმის ვერაფერს ვხედავდი. ფრთხილად ჩაზოვედი სკივრიდან და საქმეს შევედექი. სახურავი დაკეტილი არ იყო. უშიშრად ავხადე ის და თამბაქოს დავეწყე ძებნა ხელების ფათურით. მაგრამ რა ძებნა უხლოდა? სკივრი ნახევრამდე იყო მოყრილი. მე შევეცადე რაც შეიძლება პატარა შეკვრა ამომერჩია, მაგრამ, რომ ვერ მივაგენი, ვიგას ავძახე ჩუმად: „რა გქნა, ბიჭო, სულ დიდებია-მეთქი!“

მაგრამ პასუხი რომ ვერ მივიღე მისგან, რომელიც ხელში მომხვდა ის გადმოვისროლე გარეთ და სარკმელზე ამოვცოცადი. ის იყო გადმოვყავი თავი გადმოსაძრომად, რომ კინდამ რეტი დამეხსნა და ქვასავით გავეშვდი. თამბაქოს შეკვრა პაპა თედორეს ექირა ხელში და ისეთი გაცეცხლებული, თანაც გაკვირვებული თვალებით შემომცქეროდა, ისე უცანცაბებდა სიბრაზით წვერი, ტყვეობიდან გაქცეული ლომი გეგონებოდა. გიგა კი აღარსად ჩანდა.

— გამჭურდე, ბიჭო! — წამოიძახა მან წყნარად, მაგრამ ისე მრავალმნიშვნელოვნად, რომ ტანში ურუანტელმა დამირბინა... და მე აღარ დამჭირდა სარკმელში გადაძვრომა. პაპამ გააღო კარები, ჩამომაგლო ძირს და ერთი ვაი-ვავლანით წამათრია ჩვენი სახლისაკენ. ჯანგამოლეული მოხუცი მეთი მღელვარებით ქოშინებდა, ხიხინებდა რაღაცას და მთლად კანკალებდა. მე ასეთ შემთხვევაში ისე ვიცოდი გაკერებება, რომ თუნდაც იქვე დავეკალი ვინმეს, — ვერც მუდარას, ვერც შიშს, ვერ გამომახატებინებდა. ამიტომ ანლაც, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად განვიცდიდი ჩემს ხედვრს, მხოლოდ უმბაყოფილოდ ვიყავი გაბუხებული და პაპა საითაც მიბიძგებდა, იქით მივჩაქჩაქებდი. ჩვენი ეზოს ჭიშკართან რომ მივდიეთ, ჰკრა ხელი კარებს, შემაგლო შეგნით და მერე თვითონ შემოაბიჯა გულამოვარდნილმა.

დედაჩემს ტილო გაეფინა ეზოში და წისკვილში წასადებ ხორბალს არჩევდა. იგი ფეხმორთხმით მიმჯდარიყო სვავთან და მისკენ გადახრილი მშვიდად მუშაობდა. როდესაც ეზოში შემაიღო პაპამ, დედამ საქმეს ხელი უშვა და გაკვირვებით შემოგხვდა, შიშით თვალები გაუფართოვდა, როგორც შევატყვე ისე მოდუნდა, რომ ადგომაც კი ვეღარ მოახერხა და მგონი ეს სიტყვები გამოხატა ტურჩების მოძრაობით: „რა მოხდა?“ პასუხად პაპამ თამბაქოს შეკვრა ზედ სვავთან მიუგდო და გაცხარებით წაიხიხინა:

— აი, ჩემო კეთილო!... ზედ სარკმელთან წავასწარი ქურდობაზე! მერე რას იპარავს? — თამბაქოს! კანფეტი მაინც იყოს, ან შაქარი, რომ კაცმა თქვას ზავშია და სულმა წასძლიაო!... მაგისთანას ქვა უნდა შეაბა კისერზე და ძალღივით გადააგდო წყალში! ვის რათ უნდა ქურდი!...

— ვასო, ეს რა გიქნია, ბიჭო! — მომმართა დედამ ისეთი მგრძობიარე და თანაც შესაბრალისი ხმით, რომ კინდამ გული ჩამწყდა. საწყალმა მეთი ვეღარა სთქვა რა მღელვარების გამო და სახე ისეთიარად მოქცა, თითქოს მწარედ იღიმებო. თვალები თანდათან ამოუსველდა, მაგრად მოხუქა და

ცრემლები კალთაზე დაუცივდა. აიფარა სახეზე ცხვირსახოცი და უმწეოდ აქვითინდა.

დედა ვის არ უყვარს, მაგრამ დედაჩემი საშინლად მიყვარდა. იგი არა მარტო იმისათვის მიყვარდა, რომ დედა იყო ჩემი, არამედ უფრო იმისათვის, რომ ძალზე გულკეთილი და გულუბრყვილო იყო. სოფელში მრავალ ამბავს გაიგონებდით მისი სათნოების შესახებ და ყველას ისე უყვარდა, რომ თითქმის აღმერთებდნენ. მე თვითონ რა დანაშაული უნდა ჩამედენა ისეთი, რომ, თუ გულწრფელად შევეცადვი აღარ გავიმორჩებ-მეთქი, მას არ ეპატებიანა. ისევე, როგორც ყოველი გულკეთილი ადამიანი, გულწივიც იყო ძალიან, მაგრამ არასდროს მის თვალზე ცრემლი არ შემინიშნავს. ახლა კი ტიროდა. სლუკუნებდა წყნარად და მხრები უცანცაბებდა. ხოლო ყველაფერი ეს ჩემი უსაქციელობის ნაყოფი იყო. რის გული უნდა მქონოდა, რომ დამშვიდებით მეცქირა მისთვის? და შეირყა ჩემი სიკერპე. გვექანე აცრემლებული, ჩაფუვარდი კალთაში და მწარედ ავღრიალდი. ვთხოვდი, ვემუდარებოდი, ოღონდ ნუ იტირებდა, ოღონდ დამშვიდებულიყო და თუნდაც რაიმე დაეკრა თავში და იქვე მოვეკალი. მაგრამ ასეთი არ იყო დედა. მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ კარგი შვილი ვყოლოდი. მე კი არ ვიყავი ასეთი და ორივენი ვიტანჯებოდი ერთიმეორის მოქმედებით.

პაპა თედორე ერთ ხანს თავზე გვადგა და რაღაცას ხიხინებდა და გაურკვევლად. ბოლოს, როგორც მომჩვენა, კვნესაც გაურია ხმაში და ჭიშკრიდან ვიშვივით გავიდა.



ჩამომაგლო ძირს და ერთი ვაი-ვავლანით წამათრია ჩვენი სახლისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემს არაფერი გაუმხელია მამასთან, რადგან ეწინააღმდეგება ჩემს ამდენ უსაქციელობას მოთმინებიდან არ გამოეყვანა ის, პაპა თედორემაც შეიწყნარა მისი ვედრება და კრინტი არავისთან დაუძრავს მომხდარი ამბის შესახებ, ერთ ხანს მაინც ისე ვიყავი დაღვრემილი, რომ დანაკბილს არ მიხსნიდა. გიგა, რომელიც სუფთად გადარჩა ყოველგვარ სასჯელს, — რადგან გარდა დედაჩემისა მისი ქურდობაში მონაწილეობის შესახებ არავის არა გაუგია რა, — ქირივით შემძაგდა. შემძაგდა იმისათვის კი არა, რომ შემაცდინა და ქურდობა გამაბედვინა, — დედამ დამარწმუნა, რომ ამაში დამნაშავე უფრო მეტად მე ვიყავი, — არამედ იმისთვის, რომ ისე უსინდისოდ გაიძურწა სახიფათო მდგომარეობის დროს და არაფრით მანიშნა, რომ თავი დამეღწია განსაცდელისაგან.

აბე იყო თუ ისე, ამ ამბავმა ისე გამიტენა გული, რომ თუ კიდევ ოდესმე მსგავს რამეს გავბედავდი ვეღარ წარმომედგინა. მაგრამ ვაი რომ არ ვიყავი ჩემი სიტყვის პატრონი და, როგორც გამოამინდლებოდა ხოლმე გულში სინანულის გრძნობა, პირველშემთხვევისთანავე ისევე მივდიოდი დათმობაზე. ახლა, როდესაც ჩაუფიქრებელი ხოლმე ჩემს მაშინდელ მოქმედებას, ყველაფერს ადვილად ვხვდები და ვამბობ, რომ იმ დროს ჩემს მიერ ჩემივე სურვილის წინააღმდეგ წასვლის ძირითადი მიზეზი ნებასყოფის სისუსტე იყო. ნებასყოფის სიმტკიცე ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი თვისებაა ადამიანის დანარჩენ თვისებათა შორის და ბავშობიდანვე მოითხოვს კარგ ვარჯიშს. მე კი ცუდად ვავარჯიშებდი მას და მუდამ სხვისი გავლენის ქვეშ ვმტკიცდებოდი.

ვინ იცის სადამდე მიაღწევდა ჩემი უსაქციელობა, თუ მძიმე უბედურებას, რომელიც თავს დამატყდა იმ ხანად, მთლად არ გამოეცვალა ჩემი შინაგანი სამყარო.



ეს ამბავი მოხდა ჩემს მიერ თამბაქოს მოპარვიდან სამიოდე დღის შემდეგ. ის დღე არასდროს დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში და ის ზაფხულიც ყველაზე მძიმე ზაფხული იყო ჩემი ცხოვრების მანძილზე.

შუადღემდე საშინლად ცხელოდა. მერე კი ტალახივით შავი ღრუბლები წამოდგოდა ცას და ისე ჩამოხრეოდა ირგვლივ, თითქოს დამე ჩამოწვია მთებზე. მე და ჩვენი მეზობლის პატარა ბიჭი მიტოვებული ვაშლიდან ნახარში დავძვრებოდით და შურდულით ხელში ბოლოქანქალა ჩიტებს ვეპარებოდით, რომლებიც ისე მოუურიდებლად დაგოგავდნენ მინდორზე, რომ თითქმის ფეხებში ედებოდნენ საქონელს. უცბად, ყრუდ დაიქუხა სამხრეთისაკენ და უძრავად გარინდებულ ჰაერში მძიმე წვეთებმა შეარყია. ჩვენ თავი დავანებეთ ჩიტების ღვეზას და ტყისაკენ მოვუაროვდით, სადაც დიდი ხეების ქვეშ თავისუფლად შეგვეძლო მშრალად გადარჩენა. ტყეში შესვლისთანავე გეზი პირდაპირ იქით ავიღეთ, სადაც ყველაზე უფრო კარგი ადგილი გვეგულებოდა საამისოდ. მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მივუახლოვდი და დავინახეთ, რომ იგი დიდ ბიჭებს დაეკავებინათ უკვე სახტად დაგრჩი. ვერ გამეგო საიდან გაჩნდნენ იქ. აღარ ვიცოდი რა მიქნა. წამით შეგერდი და იქითაქეთ დავიწყე თვალბის ცეცება, მინდოდა ცალკე ამომერჩია თავშესაფარი, მაგრამ ვერსად შევნიშნე ხელსაყრელი ადგილი და, რაკი წვიმა თქემად მოდიოდა უკვე, მეტი რა გზა მქონდა, დავდუნე თავი და მივდიე მათკენ კიუნიით გაქანებულ მიტოს. გიგას ყველაფერი ეამბნა მათთვის და, როგორც კი დამინახეს, მაშინვე ატენეს ღრიანცლი: „ქურდი ვასო, დამცემი ვასო მოდისო!“ მე არც შემხედვავს მათთვის ისე მივირბინე ახლო და ცალკე მივიკუნტე სიმშრალეში.

ელვა ბოროტებით ანთებული თვალივით ფეთქდა. ქუხდა საშინლად. იფიქრებდი ცაში ვებერთელა სპილენძის ქვაბებს



თვალეები თანდათან ამოუსველდა... და უმწეოდ აქვითინდა.

ურტყამენ ერთმანეთსო. ფეხქვეშ მიწა იძროდა. დაეცემოდა სადღაც მებსი, დაახშობდა წამით სმენას და, როდესაც შეწყდებოდა მისი ჭახანი, ყურში კაპასით შეიქრებოდა ფოთლებზე აცეკვებული წვიმის ხმაური. მე მოვიწყინე. ვწუხდი, რომ თითქოს განგებ, ყველაფერი ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა. ეტყობოდა, დიღხანს მოგვიწყევდა იქ დგომა. ტყეში რამდენიმე სული საქონელი შემოძვრა და მთლად გაწუწული აიტუხა ხეებქვეშ. ცაცხვის ფოთლებში შემალული ბარტყი საცოდავად წიოდა.

გიგამ დაკვიცილი ქალღლი ამოიღო ფიბიდან და თამბაქოს შესახვევად ერთი ფენა მოხია... შემდეგ სხვებს გადასცა და სულ მალე ყველამ გაბოლოა. მეც შემომთავაზეს ავლებული ღიმილით, მაგრამ უარის ნიშნად გვერდზე გავიხედე და სველ თმაზე უხერხულად ჩამოვივსი ხელი. მაგრამ მიტომ, რომელიც თურმე პაპამისის ჩიბუხს ეპარებოდა ჩუმ-ჩუმად, თავი გამოიღო: „თუ მაგას არ უნდა, მე გამიხვიეთო!“ პირველად იუარეს ბიჭებმა, მაგრამ შემდეგ რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, მგონი ეს: „მოვაწვევინოთ თორემ გავგთქვამსო!“ და თხოვნა შეუსრულეს.

მიტოს აშკარად ეტყობოდა, რომ პაპაროსის წევრში გაწაფული არ იყო. მოქაჩავდა მაგრად, ჩაიგუბებდა ბოლს პირში



და, გამოუშვებდა რა ნელ-ნელა, თვალს გააყოლებდა — აბა, სად წავაო.

— აბა, ნაფაზი დაარტყი! — უთხრა ერთმა.

— როგორ?

— როგორ და ბოლი უნდა ჩაისუნთქო, აი ასე! — მან აჩვენა ნაფაზის დარტყმის წესი.

მიტომ სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა — ხველება წასცდა. მაშინ მე მომიბრუნდნენ ბიჭები და წაქექუბებელი ალერსით მითხრეს: — აბა, შენ ვასო, აჩვენე როგორ უნდა!

მე სასტიკ უარზე დავდექი. დანახვაც კი არ მინდოდა პაპი-როსის და, როდესაც ცხვირში მათი ამონასუნთქი ბოლი შემი-ღიტინებდა, თავი გვერდზე მიმქონდა. მაგრამ იმდენი ჰქენს, იმდენს მეჩინენ, და მიტოვ როგორღაც ისე შედეცადა ჩემს დამცირებას, რომ გადაწვეტიტე ერთი, მხოლოდ ერთი ნაფაზი დამერტყა. მიტოს პაპიროსი გამოვართვი, მოვქაჩე, ჩავისუნთ-ქე ღრმად და ისე გამოვუშე ბოლი, როგორც ბუხრის მილი. — აი, ნაფაზი! — აღტაცებით შემაქეს ბიჭებმა და მიტოს მიუბრუნდნენ:

— აბა, სცადე შენც!

ჩემი შეხედვით წაქექუბებულმა მიტომ პაპიროსი მაგრად მოწია და ღრმად ჩაისუნთქა, რაზედაც ბიჭებმა ეშმაკურად გადმოქა-ჩეს თვალები. მაგრამ მიტომ ვეღარ ამოისუნთქა და გაიფუდა. ბიჭებმა ჯერ სიცილი დაიწყეს, მაგრამ, როდესაც ფერდაკარ-გული ბავშვი ძირს დავარდა, მათაც დაკარგეს ფერი და ჩოჩ-ქოლით გარს შემოეხვივნენ. ზოგმა ყურების სრესა დაუწყო, ზოგმა პირში თითების ჩაჩრა, ერთმა სველი ტოტი მოტეხა სწრაფად და წვეთები მიასხურა სახეზე. მალე პირს აღებინა მიტომ და რიგრიგობით ამოანთხია, რაც იმ დღეს ექამა: ჯერ დაქუცმაცებული საკალოო მსხალი, მერე პურის ნამცეცებთან არეული ნედლი ლობიო და ბოლოს რაღაც მომწვანო ლორ-წოვანი სითხე.

მე შეძრწუნებული შევცქეროდი ამ სურათს და მიტოს სიბ-რალოდ ვიდაგებოდი, მაგრამ უფრო იმისი მეშინოდა, ვაი თუ გავტეჯას და მოზობლებმა ყველაფერი გამოვიღ-მეთქი. გულზე საშინელი სევედა შემომამწვა. პირველ რიგში უძლუ-რად აქვითინებული დედა წამომიდგა თვალწინ და მეგონა, — ჩემი უვანო საქციელით მარტო მასთან მიცემული ფიცა კი არა, მთელი მისი მშობლიური გრძნობა და სიყვარული დავა-სამარე. გვაზედაც, შინ რომ მივდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ დაბეჯითებით შემოგვფიცა მიტომ, „ენას არავისთან დავძრავო“, ძლიერ სევედიანად მივაბიჯებდი.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი ჩვენს სახლს, მით უფრო მეუფლებოდა ერთი აზრი: მივსულიყავი დედასთან, ყველა-ფერი გულახდილად მეტქვა ჩემი დანაშაულის შესახებ და მიმეცა ნამდვილი, ადამიანური სიტყვა, რომ მომავალში არას-დროს აღარ გავეკარებოდი თამბაქოს და მუდამ სამაგალითო ბიჭი ვიქნებოდი...

მაგრამ აღარ მოხერხდა ეს, რადგან უკვე გვიან იყო. შინ რომ მივედი, მთელი ეწო და სახლი სავერ დამხვდა მძიმედ დამწუხრებული ხალხით. ოთახის შუაგულში დადგმულ ტახტ-ზე დედაჩემი იწვა გულადმა და თეთრი წეწარი ეფარა. მას, ჩვენი სოფლიდან მოშორებით, ფერდობზე მდებარე ყანაში მუშაობის დროს მეხი დასცემოდა და მოეკლა.

• • •

იმ ხანად საკმაოდ ცრუმორწმუნე ვიყავი და დედაჩემის სიკვდილის მთავარ მიზეზად ჩემს თავს ვთვლიდი. ვფიქრობ-დი, რომ ყველაფერი განგებამ მომიზღო ჩემი უსაქცილობის წილად. უფრო მეტიც, დანამდვილებით მჯეროდა, რომ სწო-რედ იმ დროს დედაც დედას მეხი, როცა მე — მისმა უღირს-მა შვილმა — პაპიროსი გამოვართვი ამხანაგს და მოსაწევად პირში ჩავიდე. ამიტომ გადაწვეტილი მქონდა ჩემი დანაშაუ-ლის გამოსასყიდად რევოლვერი მეშოვნა და თავი მომეკლა. მანამდე კი გავიბარებოდი ხოლმე საფლაგზე, დავემხებოდი

პირქვე და ხანამ ძალით არავინ ამგლეჯდა, მანამ დავფიქრობ-ცხარედ. საწყალი მამაჩემი მთლად გამოიფიტა მწუხარებით. ცდილობდა ჩემს გასამხნეველად ყველაფერი გულში ჩაეკლა, მაგრამ ვერ აღწევდა მიზანს და, მდფდელივით წვერმოშვებუ-ლი, აჩრდილივით დაეხეტებოდა კვეყნად. ბოლოს, როდესაც შეატყო, რომ თანდათან ვნადგურდებოდი ორივე, მიანება სოფელს თავი და სამუდამოდ გადმოვსახლდით ქალაქში.

ქალაქურმა ცხოვრებამ მართლაც კარგად იმოქმედა ჩვენ-ზე. მართალია, დედაჩემი არ დაგვეწყებია და მისი ყოველა გახსენება ფასად გვიჯდებოდა, მაგრამ როგორღაც ისე გადა-გვიხალისდა გული, რომ თანდათან შევეურივლით ბედს და საულიერად აღარ დავცემულვართ. მამამ სამუშაო იშოვნა, მე ახალი მეგობრები გავიჩინე და შევეუდექით ახლებურად ცხოვ-რებას.

• • •

სანამ დღეინაცვალს მომგვრიდა მამაჩემი, მანამ ჩემს ნება-ზე ვიყავი მიშვებული და როგორც მინდოდა ისე ვიქცევოდი. მოვიდოდი თუ არა სკოლიდან, მიყვრიდი წიგნებს მაგიდაზე; ხანდახან არც კი ვქამდი სადილს, გამოვვარდებოდი ქუჩაში და მთელ დღეს ამხანაგებთან ლაზღანდარობაში ვატარებდი. ცუდად ვსწავლობდი. მამაჩემი გვიან მოდიოდა სახლში, ხში-რად ნასვამიც, და, როდესაც მკითხავდა ვისწავლე თუ არა გაკეთალები, მე ვპასუხობდი ვისწავლე-მეთქი და ისიც ამით კმაყოფილდებოდა.

ჩემი ამხანაგებიდან თითქმის ყველა ეწეოდა პაპიროსს, მე კი არა. ისინი ხშირად მაძალებდნენ „მოწიე, რისა გეში-ნიაო!“ მაგრამ ყოველთვის მტკიცე უარზე ვიდექი და გადა-წყვეტილი მქონდა მომავალშიც ასე მოვექცეულიყავი. მათ არა-ფერი იცოდნენ ჩემი წარსულის შესახებ, თუ რამდენი უსია-მოვნება გადახდა თამბაქოს წიგის გამო. არ იცოდნენ, რად-გან იმის შიშით, ვაი თუ დადამეკიდონ და ისევ შემაცდინონ-მეთქი, არაფერი მეამბნა მათთვის. მაგრამ, ერთხელ, როდესაც შემომთავაზეს პაპიროსი და ჩვეულებრივ უარი განვაცხადე, ისე დამამცირებლად გამქირდა ერთმა: „დაიცათ, ჯერ ისევ სოფელია, ქალაქელი ვახდისო“, ისეთი დიდი შურისცხევა ვერატივინი, რომ გადაწვეტიტე მანინე შევეჯიბრებოდი მას და ერთი მიტოსებური ოინი დამემართებინა მისთვის. იგი სიხა-რულით დამთანხმდა. ბიჭებმა წრე შემოგვარტყეს და ცნობის-მოყვარობით დაგვიწყეს ცქერა. ჩემმა მოწინააღმდეგემ თა-ვისი პაპიროსი გადმომცა და მითხრა: „ვნახოთ ერთი, რა ნაფაზების პატრონი ხარო!“ მე თვალში მოვატარე ირავლივ და პაპიროსი ხარბად მოვწიე, ჩავისუნთქე და, როგორც თვი-თონ მათ შეფასეს, ბოლი ორთქლმავალივით ამოვუშვი. ისი-ნი აღტაცებაში მოვიდნენ და გაკვირვებით წამოიძახეს: „ვაა, ეს ვინა ყოფილაო!“ მაგრამ ზოგს ექვი შეეპარა და ყოყმანით წარმოთქვა: „არა, ტყუილია, პაპიროსი ჰქონდა დაგუბებული, არ ჩაუსუნთქავსო!“ შევექმნათ დავა. მაგრამ სანამ გამოარ-კვედნენ თუ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ჩემს თავს არნახული ამბავი დატრიალდა და ყველა გაურკვეველ მდგო-მარეობაში ჩაავლო.

როდესაც ჩავისუნთქე ბოლი, გული ისე დამიმძიმდა, რო-გორც ლოდი. მომეჩვენა თითქოს ცხელი დადარი ჩამიცვივდა მკერდში და ისეთნაირად ამიფორიქდა გრძნობები, რომ რაც კი წარსულში უსიამოვნება გადახდებოდა ყველაფერი ერთად განვიცადე. გამახსენდა დედაჩემი, რომელიც მუდამ წუხდა, რომ თამბაქოს ვეწეოდი. მარიგებდა მრავალნაირად, ერთხელ იტირა კიდევ; მუდამ ვპირდებოდი, რომ უთუოდ შევასრუ-ლებდი მის სიტყვას, მაგრამ ყოველთვის ვატყუებდი და ბო-ლოს ისე მოკვდა, რომ ვერა და ვერ შესძლო ჩემი გამოსწო-რება. და შევკრთი. შემჯავრდა ჩემი თავი. ტანში საშინელი სისუსტე ვიგრძენი და სინანულის მწვავე გრძნობამ გამიყუნა გული. თვალბში ცრემლი მომამწვა, პაპიროსი გულმოსულმა დავანარცხე ძირს, გავიდი ცალკე, მივერდენი ტელეგრა-ფის ბძს და ცხარედ ავეჭვითინდი.



ბიქებმა პაპიროსები გადაყარეს და შემფოთებულნი გარს შემომხვიდნენ. მრავალნაირი შეკითხვებს მამლევდნენ, მამშვიდებდნენ, მეფერებოდნენ, ცდილობდნენ გაეგოთ ჩემი ტირილის მიზეზი, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ და ერთიმეორეს დაბნეულად ეკითხებოდნენ: „რა დაემართაო!“...

* * *

1938 წელს არმიაში გამიწვიეს. არმიელის ცხოვრება სრულად ახალი და უცხო ნაბიჯია ადამიანის ცხოვრების გზაზე. ამიტომ ახალწვეულები, რომლებსაც უჩვეულო პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, წლების განმავლობაში იძენენ სრულიად ახალ თვისებებსა და ჩვევებს, რაც მანამდე არ ანასიათებდათ. ამ ჩვევათაგან ერთ-ერთ უფრო დამახასიათებელს და საყოველთაოს თამბაქოს წევა წარმოადგენს. არ შეიძლება ქუთაში არ დაგიჯდეს კაცს თამბაქოს უპირატესობა, როცა დაინახავ, თუ როგორი მოწიწებით, როგორი გულმოდგინებით ახვევენ ჯარისკაცები, როცა ისინი მეცადინეობის შემდეგ, ათიოდე წუთით მიიღებენ შესვენებას.

მე არ ვეწეოდი თამბაქოს. პირველად ჯარისკაცები ხუმრობით გადმომკრავდნენ ხოლმე: „მალე განახათ მახორკას იბერტყავდე ჯიბიდანო“, მაგრამ, როდესაც გავიდა დრო და შემატყვევს არც მომავალში ვაპირებდი მოწევას, თანდათან ჩამომეხსნენ.

ერთხელ, როდესაც სასწავლო ლაშქრობიდან ბანაკში ვბრუნდებოდით, მეთაურმა შესვენება მოგვცა ტყიანში. ცხელია. თოფები ერთად, მწკრივად განვალაგეთ მწვანეზე და ყველანი ერთად წამოვგორდით გრილოში. ჩემმა ამხანაგებმა უმალვე ჯიბეს იკრეს ხელი და ჩვეული გულმოდგინებით შეუღდნენ თამბაქოს შეხვევას. მე თვალი გადავავლე მათს ჯარისკაცულ ფუსფუსს და, თითქოს შემშურდაო მათი ბედნიერება, როგორღაც დავნადელიანიდი. „რატომ არ უნდა ვეწეოდე მეც? — შევეკითხე ჩემს თავს ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, — განა დედაჩემი იმისთვის მიშლიდა პაპიროსს რომ არასოდეს არ მომეწია? ის მხოლოდ იმისთვის მიკრძალავდა ბავშვობაში, რომ ეშინოდა ჩემი სათუთი ორგანიზმი არ დაეჯახნა თამბაქოს მავნე ბოლს. ახლა კი ვაქაც ვარ უკვე — ჯან-ღონით სავსე. მართალია, თამბაქოს ბოლი არც ახლა მარგებს, მაგრამ თუ კი ასე ტუბილია ის, რა უქირს რომ მეც მოვწიო? ნუთუ ახლაც დამიშლიდა დედა ცოცხალი რომ ყოფილიყო? არა მგონია“.

და შევანჯღრიე ჩემს გვერდით წამოწოლილი ამხანაგი. მან თავი მოაბრუნა და შემომხედა. ხოლო, როდესაც თამბაქო ვთხოვე, მყისვე წამოვჯდა, სერიოზული სახე მიიღო და ჯარისკაცებს გადასძახა:

- ბიქებო, ახალი ამბავი იცით?
- რა? — ერთხმად იკითხა რამდენიმემ.

- ვასილი თამბაქოს ითხოვს! — ხითხითით წარმოთქვა მისი და ხელები მუხლებზე დაირტყა.
- აი, მესმის!
- ახლა კი ნამდვილი ჯარისკაცია!
- დაიცაო, მე გავუხვევ, ჯერ ხამია, ვერ შესძლებს!
- არა, მე უნდა გავუხვიო, შენ უშნოდ ახვევ!
- არა, მე!...

შეიქნა ურიაშული და ცილობა, მაგრამ არ დავთანხმდი, თვითონვე ვიკისრე ყველაფერი. თამბაქო ულუწათოდ შევახვიე გაზეთის ქაღალდში და, ნაუხვენები რომ არ ჩამცვენოდა პირში, ბოლო ნერწყვით დავუხველე. ამხანაგებმა მოკედებული პაპიროსები გამომიწოდეს და ერთ მათგანზე ფრთხილად მოვეუქადე. ყველა კმაყოფილებით შემომტკეროდა. შევეცადე ნაფასი დამერტყა, მაგრამ ერთბაშად ვერ გავხვედი — ვაი თუ სირცხვილი ვქაშო-მეთქი — და ცოტა, ძალიან ცოტა ბოლი ჩავისუნთქე. არ დამახველა, მაგრამ თილტვები ისეთიარად შემერხა, ბევრი აღარა დაჰკლებია რა. ბიქებმა შემაქნეს „უკვე ნაფასიც ისწავლაო!“ მეც ბავშვით წაქეზებულმა ისევე გავიმეორე პირვანდელი, ოღონდ ახლა უფრო მეტი ბოლი ჩავისუნთქე. კვლავ გადავრჩი დახველვას და ამით — ამხანაგების ხარხარს. მაგრამ რა დამეშართა თუ იცი? გული ლოღოვით დამიძინდა და თითქოს რაღაც ცუდი ამბავი გავიგეო, საშინელი სევდა შემომაწვა. მყისვე არაჩვეულებრივი სიძლიერით ვიცანი ეს გრძნობა და ტანში ურუანტელმა დამირბინა. მალე თვალებიც ამომისველდა ცრემლით და ისე გამაკვირვა ჩემმავლე საქციელმა, რომ გამეღიმა: „დიდება შენ, მშობლიურო სიყვარულო!“ — გავიფიქრე გულში და თვალები ცხვირსახოცით ამოვიშრალე. ერთმა ჯარისკაცმა, რომელმაც სხვაზე აღრე შემამჩნია ეს, უდარდელად გადაიხარხარა და ამხანაგებს მოუთითა ჩემზე: „შეხედეთ, შეხედეთ, ბოლი შეუფიდა თვალბში და ცრემლი მოხდისო!“ მე კი პაპიროსი ჩემის ქუსლით ჩავვვებე ნოტიო მიწაში და მას შემდეგ არასდროს აღარ გავკარებვივარ.

* * *

ჭურბი ყურადღებით უსმენდა მამას და ცდილობდა მისი ყოველი სიტყვა ისე გაეცოცხლებინა თავის აზროვნებაში და განეტყვა, როგორც თვითონ მამა განიცდიდა. ხანდახან შეათვალე იერებდა მას თავიდან ღებებამდე და გუნებაში ფიქრობდა: „როგორი აბეზარი ბიქი ყოფილა ბავშვობაშიო!“ მაგრამ მამა რომ დიდი სინანულით იგონებდა წარსულს, თვითონაც სევდით ევსებოდა გული და წუნდა, რომ ის ძვირფასი ქალი, რომელიც მისი ბებია ყოფილა, ცოცხალი აღარ იყო ქვეყანაზე. და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: არასდროს არ მოეწია პაპიროსი, რომელიც გარდა იმისა, რომ თურმე ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, შესაძლებელი ყოფილა სხვა მრავალი უსიამოვნების მიზეზიც გახდეს.





პიონერული ამბები

ს ა ა ხ ა ლ ჟ ლ ო ს ა ხ უ შ ა რ ი

სკოლის საცდელ მიწის ნაკვეთზე ნორჩი მიჩურინელები კომბოსტოს თესვას მაშინ შეუდგნენ, როცა საკოლმეურნეო მინდვრებზე კომბოსტო უკვე თავს იხვევდა.

— რაღა ღროს თესვა! ვერა ხედავთ საცაა თოვლი მოვა, იანვრისთვის ხომ არ აპირებთ მოსავლის აღებას? — გაეხმაურა ნაკვეთში მოფუსფუსე პიონერებს სკოლის დამლაგებელი.

— სწორედ იანვრისთვის ველით მოსავალს. ეს კომბოსტო ყინვაგამძლეა, მისი თესვა საგანგებოდ ვიშოვნეთ, — განუმარტეს ნორჩმა მიჩურინელებმა: ნაწული ბუცხრიკიძემ, ნათელა დევიძემ, მაგული შეყრილაძემ და ნაწული ცხადაძემ.

ნოემბრის თვეში ჩითილი კვლებში გადარგეს. უვლიდნენ და ახეზივრებდნენ თითოეულ ძირს, —

არც სასუქს აკლებდნენ, არც წყალს. ახალ წელს ახალი საჩუქარი მიუძღვნეს—სოფელ ახალი თერჯოლისათვის უცხო სტუმარი, — სკოლის საცდელ ნაკვეთზე მოყვანილი ყინვაგამძლე კომბოსტო.

— „თემურელები“ რაღა გქვიათ? — იკითხა ბებამ.

— ამას აი, ეს წიგნი გეტყვით, — თქვეს გოგონებმა და არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“ გადაშალეს.

იმ დღიდან ძოყოლებული „თემურელი“ გოგონები ბებია ხაღიას ხშირი სტუმრები არიან. მიდიან, ყველაფერში ეხმარებიან, ყველაფერში, რაშიც კი სჭირდება უსინათლო მოხუცს დახმარება.



— შენ ჩემი დარდი ნუ გქენება, საცაა ჩემი „თემურელები“ მოვლენ, — თითქმის ყოველდღე ამ სიტყვებით ისტუმრებდა ნადეჟდა ბლაგოვემჩენსკაია თავის ქალიშვილს სანსახურში.

ნ ო რ ჩ ი ე ნ თ უ ზ ი ა ს ტ ე ბ ი

ბრძოლის ქუჩა აღისფერყელსახვევიანმა პიონერებმა აახმაურეს: ზოგს ხელში ბაწარი უჭირავს, ზოგს კალათა, ზოგს ბადურა.


ესენი თბილისის რკინიგზის მესამე საშუალო სკოლის პიონერები არიან. ეზოებში ჯგუფ-ჯგუფად დადიან, მოსახლეობას თავიანთი მოსვლის მიზეზს განუმარტავენ და გზადაგზა უხსნიან კიდეც, თუ რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს ფერადი და შავი ლითონის ნამტვრევებმა.

დისახლისებიც ხალისით აღებენ საკუქნაოსა თუ სათავსოს კარს და გამოაქვთ ძველი ქვაბები, თვითმადულარები, მილის ნატეხები, ერთი სიტყვით ლითონის ყოველგვარი უფარგის ნივთები.

პიონერები ერთ ნატეხსაც არა სტოვებენ. ჯერ ეზოს წინ აგროვებენ და შემდეგ სკოლისაკენ ეზიდებიან.

იმ საღამოს სკოლის ეზოში დაგროვებული ჯართის „მთა“ რომ აწონეს — 13 ტონამდე გამოვიდა.

ამ ცნობამ მთელი რაზმეული გაახარა, რადგან ყველამ იცოდა, რომ 13 ტონა ჯართი ეს იმდენი ლითონია, რომ 3 ახალი ტრაქტორის ასაგებად იკმარებს.



„თ ე მ უ რ ე ლ ე ბ ი“

მოხუცი დიდხანს იჯდა მოწყენილი, მერე წამოდგა და ხელის ფათურით კარისაკენ წავიდა. სწორედ ამ ღროს გარედან ძახილი მისიმა:

— ნადია ბებია, ნადია ბებია! კარი გაგვიღე, პიონერები ვართ!

მოხუცი ერთ ხანს შეჩერდა, ვერ მიხვდა ვინ უნდა ყოფილიყვნენ, ან რისთვის ეწვივნენ უცხოები ბავშვები უსინათლო მოხუცს.

კარი მაინც გააღო. ოთახში ყვავილების სურნელება დაიფრქვა — თაიგული მოეტანათ ბავშვებს.

— ვინა ხართ შეილებო, რისთვის მოსულხართ?

— პიონერები ვართ, „თემურელები“. მოვედით, რომ ბაღში სასეირნოთ ჩაგიყვანოთ!

— რომ წიგნი წაგიკითხოთ!

— რომ არ მოგაწყინოთ! — ისმოდა მხიარული ხმები.

იმ დღეს მართლაც ერთად გაისეირნეს ბაღში.

— ჩვენ თბილისის 43-ე სკოლის მესამე რაზმის პიონერები ვართ: მარიკა მირიანაშვილი, ოლიკო კობახიძე, ზოია მურადოვა და ნათელა როდოპულო, — გაეცვენ „თემურელები.“

4059



სასწავლო- სახელოსნოში

პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით თბილისის 89-ე საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეები მთელი გულსყურითა და სეროიზულობით შეუდგნენ მეცადინეობას თავიანთ სასწავლო-სახელოსნოში.

უსაზღვრო იყო შეექვესკლასელთა სიხარული, როცა ისინი პირველად შევიდნენ თავიანთ სასწავლო-სახელოსნოში.

სასწავლო-სახელოსნო სკოლის შეფმა, — ადგილობრივი მრეწველობის თბილისის მექანიკურმა ქარხანამ მოაწყო. ხის და ლითონის დასამუშავებელი დაზგები, საბურღი, სალესი და სარანდავი ჩარხები ქარხანამ მოსწავლეებზე გააპიროვნა. რვა გირაგი, ამდენივე ჩაქუჩი, მრავალი ღოჯი, საქაწრი, საწერტი, დასამუშავებელი ლითონი და ხელსაწყო-იარაღების შესანახი კარადები ქარხანამ საჩუქრად გადასცა სკოლის ნორჩ-ტექნიკოსებს. ამავე ქარხნის სამრეწველო მოწყობილობათა შემკეთებელ სამქროს უფროსმა ოსტატმა ბახვა სვანიძემ დაზგები და ჩარხები დაამონტაჟა სკოლის სახელოსნოში.

შექვესკლასელები შეფებს ეწვიენ ქარხანაში.

ქარხნის ყველა საამქრო მოსწავლეებმა ყურადღებით დაათვალიერეს. ისინი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ოსტატების მუშაობას იმავე ტიპის დაზგა-დანადგარებზე, როგორც მათ აქვთ სკოლის სახელოსნოში.

ნორჩი ტექნიკოსები გარს შემოეხვიენ გამოცდილ ოსტატს ბახვა სვანიძეს და საქმიანი ბაასი გააბეს.

„ეჰ, ნეტა ბიკი ვიყო! — გაიფიქრა სინანულით პატარა მერცი ბოსტოლანაშვილმა. — მაშინ ხომ მრც შევძლებდი ჩარხზე მუშაობას!“

მერცის გარდა ყველა კმაყოფილი დაბრუნდა ქარხნიდან. მარტო ის იყო დაფიქრებული და დაღონებული... გიორგი მასწავლებელი მაშინვე მიხვდა გოგონას „მწუხარების“ მიზეზს, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი არ უთქვამს.

* * *

მომდევნო მეცადინეობაზე გიორგი მასწავლებელმა უცნობი დეტალი დახაზა დაფაზე. მოსწავლეებს აუხსნა, რომ მის მიერ დახაზული სხეული ჩვეულებრივი, მარტივი საკიდია,



მექვესკლასელები შეფებს ეწვიენ ქარხანაში.



— ჩაქუჩის ტარს ხელი შუაწელში კი არ უნდა მოჰკიდო, არამედ ბოლოში, — უთხრა მასწავლებელმა თენგიზს.

რომ ასეთი ტიპის საკიდებს დიდი ზომის სურათების და სხვა ნივთების ჩამოსაკიდებლად ხმარობენ. შემდეგ აუხსნა, რომ მის დასამზადებლად საჭიროა რკინის ნაქერზე შემოვხაზოთ საკიდის სასურველი ფორმა, გავამკროთ გირაგში და ღოჯისა და ჩაქუჩის საშუალებით შემოვტეხოთ ხაზის გასწვრივ, ნაწიბურები ქლიბით შემოვაცალოთ, ვაწარმოთ მონიშვნა საწერტის საშუალებით და ამის შემდეგ საბურღ ჩარხზე გავუკეთოთ სათანადო ზომის ნახვრეტები. შემდეგ კვლავ ქლიბით გავასუფთაოთ და საკიდიც მზად იქნება.

საუბრის დამთავრების შემდეგ მასწავლებელმა ყველას თავისი სამუშაო ადგილი მიუჩინა. მოსწავლეებმა გირაგებთან თავები დახარეს და ისე გაერთნენ თავიანთი საქმიანობით, რომ ერთმანეთსაც კი ვეღარ ამჩნევდნენ. გიორგი მასწავლებელი რიგრიგობით ყველასთან მიდიოდა და საჭირო რჩევა-დარიგებებს აძლევდა. აი, მან შენიშნა, რომ თენგივ ძიგუას ჩაქუჩი სწორად არ უჭირავს, უხერხულად სცემს და ამის გამო ღოჯი კარგად ვერ სჭრის ლითონს. პატარა თენგივს ნერვიულობა ემჩნევა.



სიხარულისაგან აღღვებულმა მერციმ ბრტყელტუჩათი გაუბედავად მოათავსა საკიდი ბურღის შპინდელის გასწვრივ.

საკიდების დამზადების შავი სამუშაოები შალე-დამთავრეს მოსწავლეებმა და ახლა სათანადო ზომაზე გასაბურღელ მასწავლებლის მითითებით, მერცი ბოსტოლანაშვილს გადასცეს. ყველას გაუკვირდა, ზოგმა უქმყოფილება კი გამოთქვა: სად შეუძლია გოგოს მაგის გაბურღვაო.

მასწავლებელმა ახმაურებულ მოსწავლეებს სიწყნარისაკენ მოუწოდა და თქვა: თუ არ შევისწავლით და არ შევეცდებით, არასოდეს არ გვეცოდინებაო. შემდეგ მერცი ბოსტოლანაშვილი გაამხნევა:

— აბა, მერცი, გაბედულად დაიწყე!
სიხარულისაგან აღღვებულმა მერციმ ბრტყელტუჩათი გაუბედავად მოათავსა საკიდი ბურღის შპინდელის გასწვრივ, შემდეგ ჩარხი აამუშავა და ბურღვას შეუდგა.

„რა ადვილი ყოფილა, მე კი მეგონა, რომ მართო ბიჭებს შეუძლიათ დაზგებთან მუშაობა“, — გაიფიქრა მერციმ, როცა რამდენიმე საკიდის გაბურღვა დაამთავრა. უცებ რაღაც მოაგონდა, წამით დაფიქრდა, გაბედულად გამორთო ჩარხი.

— რა მოხდა? რატომ გამორთე?
— პატივცემულო მასწავლებელო, ხომ შეიძლება ბურღვის დაჩქარება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგრამ ამისათვის როგორ უნდა მოიქცე, იცი?

— ვიცი! ოსტატი ბაზვა სვანიძე რომ გვესაუბრებოდა, მაშინ თქვა: სიჩქარის შესაცვლელად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გამოფრთით ჩარხი, შემდეგ სახელურით გადავადგილოთ სიჩქარის ცვლის კბილანა და შპინდელი უფრო სწრაფად დატრიალდება.

— ყოჩაღ, მერცი! შენგან კარგი ტექნიკოსი გამოვა, თუ შემდეგშიც ასე დაკვირვებული და ყურადღებიანი იქნები...

* * *

სკოლის სასწავლო-სახელოსნოში არასოდეს არ წყდება საქმიანი ფუსფუსი. გამუდმებით ისმის ჩაქუჩის ცემის და დაზგების რიტმული ხმაური. მოსწავლეები ხშირად იწვევენ თავიანთი შევის, მექანიკურა ქარხნის მოწინავე მუშებს და გამოცდილ ოსტატებს. მათგან საჭირო რჩევა-დარიგებებს ღებულობენ. ასევე ხშირად თვითონ მოსწავლეები მიდიან ქარხანაში, აკვირდებიან და სწავლობენ მუშაობის წესებს.

თ. სხაროვი

ფოტო შ. ჩხეტაინისა.

— რაო, არ გამოგდის? — გამოეხმაურა მასწავლებელი.

— პატივცემულო მასწავლებელო, თქვენ როგორც აგვიხსენით, ისე მოვიქციე; დასამუშავებელი რკინის ნაქერი გირაგში გავაზაგრე და წინასწარ მოხაზულის გასწვრივ დავიწყე ზედმეტი ნაწილების ღოჯით შემოტეხვა. ახლა კი, ვედარ გამიგია, რატომღაც მიძინელებო. — ეს უკანასკნელი სიტყვები თენგიზმა დარცხვენით წარმოთქვა.

— თენგიზ, შენ ყველაფერი წესისამებრ გაგიკეთებია, მაგრამ ერთი რამ დავიწყებია: ჩაქუჩის ტარს ხელი შუაწელში კი არ უნდა მოკიდო, არამედ ბოლოში, და ისე უნდა მოიქნო. აი მაშინ ასე აღარ გაგიძნელებო, ჩაქუჩი უფრო მეტი ძალით დაეცემა. აბა, სცადე.

პატარა თენგიზმა ჩაქუჩის ტარს ხელი ისე მოკიდა, როგორც გიორგი მასწავლებელმა აუხსნა, მოიქნა და რამდენიმე დარტყმით რკინის ნაქერს ზედმეტი ნაწილები თავისუფლად შემოაცალა. თენგიზს სახეზე კმაყოფილების დიმილიმა გადაურბინა. შემოტეხვა რომ დაამთავრა, ღოჯი და ჩაქუჩი გვერდზე გადადო, ქლიბი მოიმარჯვა და ნაწიბურების შემოცლას შეუდგა.



მეცადინეობა თბილისის 89-ე საშუალო სკოლის სასწავლო-სახელოსნოში.

ბუნაოუ ჯა მანქანა



მუქ რაჯ პანელი

ნახ. ო. ჯიშკარიანისა და დ. ღუნდუასი

თანამედროვე პროგრესული ინდოელი მწერალა, დიდი საზოგადო მოღვაწე მუქ რაჯ ანანი მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს წევრია და მშვიდობის პრემიის ლაურეატი. თავის რომანებსა და მთხრობებში იგი აღწერს ინდოელი ხალხის ცხოვრებას, იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მოსუცისა და ბავშვისათვის თანაბრად დამახასიათებელი გულუბრველობის გარდა, მე და ჩვენი სოფლის მეწაღე საუდაგარი საზიარო გრძნობამ — მანქანებით გატაცებამ დავახლოვა.

ეგ მართალია, მანქანებიდან საუდაგარს მხოლოდ ერთი აინტერესებდა — პატარა საკერავი მანქანა, რომელსაც ჩვენი სოფლის თერძი თავისი ძველი ქოხის კართან გამოდგამდა ხოლმე გაცივებული გლეხების საჩვენებლად. მახლობელ მთებში მცხოვრები გლეხები ხშირად ორმოცდაათი მილის სიშორიდან მოდიოდნენ ამ შავი საკერავი ხელის მანქანისა და ყვათელი დახლართული ფოთლებით მოხატული მისი ხუფის სანახავად. მანქანა საშინელი სისწრაფით, სრიალა ვირთხასავით ჩააფრინდებოდა ხოლმე ქსოვილს და ჩვრტელდა.

მე კი ყოველ დღე ქალაქის სკოლაში დავდიოდი და მიყვარდა ყოველგვარი მანქანა, რაც კი ქალაქად შემხვედრია: დიდი ორთქლმავალი, რომლის ქოშინსაც ვბაძავდი შესვენებაზე მატარებლობანას თამაშის დროს; ფონიგრაფი, რომლისგანაც იმედი მქონდა როდისმე საკუთარ ხმას გავიგონებდი; ავტომობილი, რომელშიაც ერთხელ, არჩევნების დროს, ლალა საინ დასმა მამაჩემი ჩაისვა; ველოსიპედი, რომლითაც ჩვენი დირექტორის მოადგილე თავის ბუნგალოდან* სკოლაში მოდიოდა; მიყვარდა ვეებერთელა რთული ბორბლების ტრიალი და დგუშების სლოკინის მსგავსი ხმა ელექტროსადგურში, რომელიც ორი არხის შესართავთან იდგა; ღრიალი რკინისა და ფოლადის ურჩხულებისა, რომლებიც დპარივალის ქარხანაში ჩვენი სოფლის ბამბასა და მატყლს ქსოვილებად აქცევდნენ; მიყვარდა საკერავი მანქანებიც. საუდაგარს ნახული ქონდა მხოლოდ ერთი საკერავი მანქანა, მე კი ვნახე იმის მსგავსი, მაგრამ უფრო სხვაგვარი კიდევ ორი, აგრეთვე მესამე — სკამთან ტყავის ღვედებით მიმაგრებული საკერავი ფეხის მანქანა, რომელსაც ქალაქის მთავარ ბაზარში თერძი ბაპა-უდ-დინი მთელი დღეობით უჯდა. ბპალას ფეხსაცმელების დუქანში ერთ-ერთი ხელოსანი დაახლოვებით ასეთსავე მანქანაზე ფეხსაცმელს ჰკერავდა.

ერთ დღეს საუდაგარის ბნელ ჩაღურ ქოხთან, ვიჯექი. მეწაღე მიშტერებოდა ქუჩის გაღაღმა თერძ ბპაგირატს,

რომელიც გამალებით ატრიალებდა საკერავი მანქანის სახე-ლურს.

— იცი, ძია საუდაგარ, — ფუთხარი მე, — ჰქვენ ძალიან ბევრ დროს ჰკარავთ წადის ძირების კერავში. თანაც მუშტრები ჩივიან, რომ ცუდად ჰკერავთ და ფეხსაცმელში წყალი შეუღით. ხომ შეიძლება მანქანა იყიდოთ, ისეთი, როგორც ბპაგირატს აქვს, უყეთესიც, მასზე მიმაგრებული სკამით, აი დაახლოვებით ისეთი სკამით, საპიბები** რომ სხედან. მე ვნახე ბპალას დუქანში ერთი კაცი ასეთ მანქანაზე ფეხსაცმელს ჰკერავდა.

— განა არსებობს ასეთი მანქანა, შვილო? — ეკვიანად იკითხა მან. თუმცა უკანასკნელ თვეებში, რაც ჩვენი სოფლის თერძმა მანქანა იყიდა, საუდაგარი ბუნდოვნად ხედებოდა, რომ ისევე, როგორც ტანსაცმლის, ტყავის საკერავი მანქანაც უნდა ყოფილიყო გამოგონილი.

— დიას, ძია საუდაგარ, — ვუპასუხე მე აღტაცებულმა. ჩემთვის ყოველგვარი მანქანა უფრო სათამაშო, გასართობი რამ იყო, — ქალაქში რომ წახვიდეთ, გასაოცარ მანქანებს ნახვით, მაგრამ თქვენ ქოხიდან არ გამოდიხართ. განა არ დაათვალიერეთ დიდი გამოფენა ლაპორში? მამამ მამბო, იქ მანქანაზე შეკერილი დიდი ფეხსაცმელი ყოფილა, ისეთი დიდი, რომ შიგ დამალობანას თამაში შეიძლება თურმე.

მე მინახავს საკვირველებანი ქალაქის ქუჩებში და გატაცებით მსურდა იგივე შემოსულიყო ჩვენს სოფელში.

— მართალი ხარ, შვილო, — კეთილად წარმოთქვა მოხუცმა, — მეც გავიგე, არსებობს მანქანა, რომელიც თურმე ჩემი ხელივით მუშაობს... მაგრამ არასოდეს მინახავს. მას შემდეგ, რაც ტპაკურ მაჰან ჩანდის თავლაში უნაგირები, სადავეები და აღვირები დავათვალიერე, მივხვდი, რომ ისინი კაცის ხელზე უფრო ოსტატური ხელითაა გაკეთებული და, როცა ჩვენი მემამულის შვილმა ქალაქში ნაყიდი შავი ტყავის ფეხსაცმელი დასაკერებლად გამომიგზავნა, მაშინვე გავიფიქრე, ყოვლად შეუძლებელია ასეთი ფეხსაცმელების შეკერვა ადამიანის ხელმა მოახერხოს-მეთქი. მართალი გითხრა, სულ შეცვქერი ბპაგირატის საკერავ მანქანას და ვვარაუდობ, ალბათ, ასეთივე ფეხსაცმლის საკერავი მანქანაც არსებობს. მაგრამ მოვხსუცი, ქალაქში უკვე ათი წელია აღარ ჩავსულვარ და მიქირს იმ მანქანის წარმოდგენა. მაინც როდისმე უსათუოდ წავალ ქალაქში მის სანახავად. რასაკვირველია, ძალიან ღარიბი ვარ და მანქანის ყიდვას ვერ შევძლებ.

* ბუნგალო — აგარაკი ქალაქგარეთ.
** საპიბი — ბატონი.



მანქანზე მუშაობა რომ დავიწყო, ალბათ, ღმერთი დაწყევლის ჩემს თითებს, ჩემი შვირდების თითებსაც, და სულ ველარ შევძლებთ კერვას.

— მაგრამ, ძია საუდაგარ, — ფთხარი მე, — გარწმუნებთ, თქვენ რომ მანქანა ნახოთ, უსათუოდ მოგეწონებათ. მანქანის სკამზე საპიბივით დაჯდებით. სრული ბედნიერებისათვის საპირთა იყიდოთ მხოლოდ ჭილის ქუდი და თქვენ დაიწყებთ ჭამა-სმას მანქანის გადმოსაკეც დაფაზე. მე თვითონაც ვოცნებობ, — დედამ ნება დამართოს ჩვენი ხის კოკისაგან სკამი გავაკეთო და ბოსელში რომ გეგა გვიდგას — მაგიდად გამოვიყენო.

— მე ხომ გარიყული ვარ, შვილო, — თქვა საუდაგარმა, — როგორ გავხედავ საპიბივით ვჭამო, ან რაიმეში მივბადო საპიბს. განა ხალხი მასხარად არ ამიგდებს, სკამზე რომ დავჯდე და ისე ვკერო წაღები?

— ეს ხალხი ჩერჩეტია, ძიავე! ჩვენი დროისა არაფერი გავეგებათ, ძველი ყაიდის ადამიანებია, ველური ადათ-ჩვევებით. ნამდვილი კამიჩები! წარმოდგენა არა აქვთ ახალ ცხოვრებაზე.

— ჰო, შვილო, შეიძლება შენ მართალიც ხარ. — დამეთანხმა მოხუცი მეწაღე. — ღმერთმა მთებში რჩინა გააჩინა. მე ფიქრობ ის ვარაუდობდა, რომ მისგან ჩვენ მანქანებს გავაკეთებდით.

— მე შესანიშნავი ქანკი მაქვს, თამაშის დროს მინდორში ვიპოვებ. თუ გინდათ, გიჩვენებთ.

— სიამოვნებით ვნახავ, შვილო. — მოპასუხა საუდაგარმა აღერსიანად. — ახლა გასწი სახლისაკენ, თორემ შეიძლება მამაშენმა ჩამოიაროს და გაგიჯავრდეს, რომ გარიყულის სახელოსნოში დროს აცდენ. გაიქეცი, ტოლებში ითამაშე.

— თუ გინდათ, ძიავე, საკერავი მანქანის სურათსაც მოგიტანთ. — შევთავაზე მე, რითაც ვცდილობდი განმემტკიცებინა ჩვენი მეგობრობა და მეწადის სახელოსნოში თავისუფლად სიარულის უფლება მომეპოვებინა. ჩვეულებრივ, მეწაღე ერეკებოდა ხოლმე მისი დუქნის წინ შეჯგუფულ ბავშვებს, რომლებიც ეხარებოდნენ კარის ერთადერთ ქუჭრუტანას, საიდანაც ძლივს ატანდა დღის სინათლე მოხუცის მიმქრალ თვალბამდე.

— კეთილი, კეთილი, შვილო, — თქვა მან, — თუ მოახერხებ, მაჩვენე სურათი. თუმცა არ მესმის, რა აზრი აქვს კაცს აჩვენო ყურძნის მტევნის ნახატი, თუ იგი ვერასდროს ვერ შეიძლება თვით ნაყოფი იგემოს.

მეორე დღეს, როცა სკოლიდან ვბრუნდებოდი, ჩემი სკოლელი ბიჭები დავითანხმე რკინიგზის სადგურის მახლობლად მაღალ კედელზე ამძვრალიყვინ და ჩამოგეგლიჯათ რეკლამა — ფოლადის დაფა, რომელზეც ვეებერთელა ლითონის ასო „ს“ — ის ფონზე ჩანდა ზინგერის საკერავ მანქანასთან მომუშავე ინგლისელი ქალი ქეჩიზე ავარცხნილი კულულეებით. რეკლამა საუდაგარს მივუტანე.

— აი, ძიავე, მე რომ გეუბნებოდით, ის მანქანა. სწორედ ასეთი უნდა იყიდოთ. ეს მხოლოდ ტანისამოსის საკერავი ტყავის საკერავი მანქანაც, ბჰალას სახელოსნოში რომ დგას, ზუსტად ასეთივეა, მხოლოდ უფრო მსხვილი ნემსი აქვს.

მოხუცი მეწაღე გაცემით დააშტერდა სურათს. ისეთი სიყვარულით გადაუსვა ხელი ფოლადის ზედაპირს, რომ მაშინვე მივხვდი რეკლამაზე გამოსახული საკერავი მანქანა ბჰაიერატის მანქანაზე გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო. ნახატმა მოხუცე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და საბოლოოდ დაარწმუნა, რომ არსებობს მსგავსი ტყავის საკერავი მანქანაც, თუმცა არასდროს არ ენახა იგი.

მეწაღე იმდენად მოხიბლა მანქანის გამოსახულებამ, რომ გვთხოვა მოპარული ფოლადის დაფა მის ქოხში შეგვეტანა და სილამაზისათვის კედელზე დაგვეკადა. ყოველ ჩვენგანს კი თითო პაისი* გვანუქა.

მე ვხედებოდი, რომ ზინგერის საკერავი მანქანის რეკლამა საუდაგარს მხოლოდ ქოხის მოსართავად არ ქონდა ჩამოკიდებული. მას უნდოდა მუდამ თვალწინ ჰქონოდა იმ საგნის გამოსახულება, რომლის ყიდვასაც გულის სიღრმეში ფიქრობდა რომ ოდენსე მოახერხებდა. ჩემი ექვები კიდევ უფრო მტკიცდებოდა: როცა კი მივიღოდი მეწადის ქოხში, მოხუცი უმალ იმაზე ჩამომიგდებდა საუბარს, რომ სურათზე ნემსი გარკვევით არ ჩანს, ან კიდევ იმაზე, რომ ვერაფრით გავგო, როგორ შეიძლება კაცმა პედალს ფეხი დააქიროს და ამავე დროს მანქანის ზედა ნაწილზე რაიმე ჰქეროს.

— მერედა, სკამიც ძალიან პატარაა, — ამბობდა საუდაგარი, — შეიძლება დაეტიოს ზედ „ლდეი“, მაგრამ მე ჩემი ტლანკი საჯდომით როგორ დავიცვა წონასწორობა მასზე?

— თუ არაფერი, — ვპასუხობდი დაბეჯითებით, რადგან სულთა და გულით მსურდა ჩვენი სოფლის მეწაღე მეხილა ბჰალას ხელოსნის მსგავსად მანქანაზე მუშაობაში დოსტატებული. — ცოტა პრაქტიკა, და ყველაზე უკეთესად შეძლებთ მანქანაზე კერვას. რაც შეეხება თქვენს საჯდომს, უნდა გითხრათ, მე ვნახე ქალაქის ინჟინრის ცოლი მემსაპიბი, რომელსაც თქვენზე უფრო განიერი უქანა ნაწილი აქვს, მაგრამ თავის ბუნებრივ აივანზე ამისთანა სკამზე ისე მოხერხებულად ზის, თითქო ცხენის კარგ უნაგირზე მჯდარიყოს.

საუდაგარის ჩამქრალ თვალბებში გაცემამ გაიღვა. მან თბილად და აღერსიანად გადმოხმედა. თითი გააყულა ფოლადის დაფის მწვანე ფონზე შავ და თეთრ ფერებში გამოხატულ მანქანის ხეიულებს. შემდეგ თვალბი დახუჭა, ვაილიმა, თავი გაიქნია, თითქოს აკვირებული მოჩვენებების გაფანტვა სურდა. არეული ფანტასტიკური სურათები მის გონებაში ერთმანეთს სცვლიდა. თითქოს სიხარულისაგან თავბრულდახვეული, გაოგნებული მანქანას უზის და თავდავიწყებით მუშაობს. ავტო ჩამწკრივებულია შესანიშნავი ჩექმებით, საუკეთესო გაკრიალებული ფეხსაცმელები, თუ სოფლად სახმარი სქელძირიანი წაღები.

— მაგრამ, შვილო, მთელი უბედურება ის არის, საიდან უნდა გვაჩინო მანქანის ფული? — ოხვრით წარმოთქვა ბოლოს მოხუცმა. — ფულიც რომ მქონდეს, არ ვიცი როგორ, ან სად უნდა ვიყიდო მანქანა. ალბათ, ფული არასოდეს მიქნება.

სასტკიმა სინამდვილემ საგონებელში ჩამაგდო. წარმოდგენა არ მქონდა რამდენი რუბია** ღირდა მანქანა და სად უნდა ეშოვნა საუდაგარს ფული. მაგრამ მისამართი — „ინგლისი, ზინგერის საკერავი მანქანების კომპანია“, — დაბეჭდილი იყო რეკლამაზე სურათქვეშ და მე დავასკენი: თუ კომპანია ტანსაცმლის საკერავ მანქანებს უშვებს, ალბათ, ტყავის საკერავსაც ამზადებს.

— ამ მანქანებს ინგლისში აკეთებენ. — ფთხარი საუდაგარს. — მათი ყიდვა იქ შეიძლება; აგრეთვე, თუ ჩვენს ოლქში არ მოხერხდა, შეიძლება ლაჰორსა ან ბომბეიში ამ ფირმის წარმომადგენელთა საშუალებით.

— ინგლისი ძალიან შორსაა, — თქვა საუდაგარმა, — მე ზეცაში რომ წავალ, მაშინაც ვერ შევძლებ შვიდი ზღვის გადალავას. აქ იმდენი კეთილი საქმეები არ გამოიკეთებია, რომ საქიოს მოგზაურობის უფლება მომეპოვებინა. რაც შეეხება ლაჰორსა და ბომბეის, თუ ჩვენი სოფლიდან ვინმე წავა, ვთხოვ ყველაფერი გამიგოს.

მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და ჩვენი მხრიდან არავინ წასულა ლაჰორში, დელსა ან ბომბეიში. მე კი გულში დიდხანს ვინახავდი ამო იმდეს, რომ საუდაგარო საკერავ მანქანას იყიდდა. ყოველ დღე, საღამოჟამს მივიღოდი მეწაღესთან, მაგრამ ჩვენ იშვიათად ვსაუბრობდით მანქანის შესახებ. ნაცვლად ამისა, მოხუცი წელში მოხრილი აკერებდა წაღებს, იჩიჩნიდა წვერს და თვალბების ეშმაკური ციმციმით მიამბობდა ზღაპრებს.

* პაისი — სპილენძის წვრილი ფული.
** რუბია — ფულის ძირითადი ერთეული ინდოეთში.



— თუ გინდათ, ძიავ, საქერავი მანქანის სურათსაც მოგიტანთ, — შევთავაზე მე.

რომ მოვიდა, თავაზიანად მკითხა, ხომ არაფერს დამავალებ ინგლისშიო. მაშინ ვთხრე ჩემთვის საკერავი მანქანა ეშოვნა. ლალა საინ დასი კეთილი კაცი აღმოჩნდა და დამპირდა, დიდი სიამოვნებით ჩამოგიტან მანქანასო. რაც მთავარია, მან კარგად იცის რომ დატაკი ვარ და მანქანის ფულს ერთბაშად ვერ გადავიხდი. ლალა საინ დასი საკუთარი ფულით მიყიდის მანქანას და საშუალებას მომიცემს თანდათანობით გადავუხადო ვალი, თანაც მცირე პროცენტით. დღეს მივიღე რკინიგზის კანტორიდან ბარათი, მუნ-შიმ წამიკითხა და მითხრა: ეს საკერავი მანქანის მისაღები ქვითარიაო. ლალა საინ დასს ინგლისიდან მანქანა გამოუგზავნია. ახლა მანქანა რკინიგზის საწყობში დგას თურმე. ბოლოს და ბოლოს, მადლობა ღმერთს, მანქანა შექნება! როცა მანქანას გადმოვიტან, ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად შენს მეგობრებს შეაჩარყინულს დაუფრთხვებ, შენ კი ერთ წყევლს ინგლისურ ფეხსაცმელს შეგიკერავ, რადგანაც პირველად შენ მიამბე მანქანის შესახებ.

სიხარულით ტაში შემოვკარი, სუნთქვა შემეკრა და აღტაცებულმა წამოვიძახე: „რა კარგია! რა კარგია!“ იქნებ იმიტომ, რომ ადვილად ვიცოდი სიხარულით აგზნება, თუ ბუნებით ასეთი თავისებური ხასიათი მქონდა, მე უკვე მანქანის მოხაზულობის, მისი სიკონტაგის, რთულ მექანიზმის, მისი მაღალი დანიშნულების, მის მუშაობის რიტმს ვგრძნობდი და გულში ამ რიტმის ქვეშ ვცქვივავდი. უკვე რამდენიმე წელი მაშას ვეხვეწებოდი ჩემთვის ინგლისური ფეხსაცმელი ეყიდნა, ახლა კი საუდაგარის შეპირებამ, რასაკვირველია, სულ გადამრია სიხარულით. წარმოვიდგინე, როგორ ავმადლდებოდი მეგობრების თვალში, თუ მექნებოდა ისეთივე ფეხსაცმელი, როგორსაც საშინები და მდიდრები ატარებენ.

— დანამდვილებით როდის აპირებ მანქანის გადმოტანას? — ვკითხე მოუთმენლად.

— ხვალ წავალ და გადმოვიტან, — მიპასუხა მან, — თერთმეტი წლის შემდეგ ხვალ პირველად მივიღვარ ქალაქს.

— თუ ქალაქში იქნებით, ბარემ შეიარეთ ბჰალას ფეხსაცმელების დუქანში და ხელოსანს რჩევა ჰკითხეთ, როგორ უნდა ჰკეროთ მანქანაზე.

— ეგ კარგი აზრია, — დამეთანხმა საუდაგარი, მართლაც ასე მოვიქცევი. შენ იმდენი სიკეთე გამოიჩინე, პატარავ, რომ ახლავე ავიღებ ფეხის ზომას და მანქანაზე პირველად შენ შეგიკერავ ფეხსაცმელს.

კიდევ დიდხანს დავრჩებოდი და ვისაუბრებდი საუდაგართან მომავალ ბედნიერებაზე, მაგრამ მეგობრები დაუინებით მიხმობდნენ. იმ დღეს ისე ვიყავი ატაცებული მანქანის ამბით, რომ კაბადის** თამაშს გული სულ ვეღარ დაუღდე. მეტისმეტი სიხარულისა და მდღეღვარებისაგან მთელი ღამე არ მიძინებია, — აკი მეწადეს მანქანის ყიდვის იდეა მე შთავაგონე! დილით სკოლისაკენ გავსწიე იმ ბავშვის ბრწყინვალე საზეიმო განწყობილებით მოცულმა, რომლის ოცნება მის ცხოვრებაში პირველად განხორციელდა, სინამდვილედ იქცა. დაგბრუნდი თუ არა სკოლიდან, მაშინვე გაიქცეო საუდაგარის დუქანისაკენ. ზუსტად, ზუსტად ისეთივე საქერავი მანქანა, როგორიც ოცნებაში მქონდა წარმოადგენილი, იდგა ჩემს თვალწინ. მოხუცი მეწადე მანქანის სკამზე იჯდა,

ერთ დღს, მეწადის ქობთან მოედანზე ჩვეულებრივად ამხანაგების სათამაშოდ გამოხვლას ველოდებოდი. ამ დროს საუდაგარმა დამიძახა და შეშლილი ადამიანივით იდუმალი, უცნაური ნერვული სიცილით, ჩაბრინწული ხმით მითხრა:

— მოდი, აქ, შეილო, აბა თუ მიხვდები რა მოხდა?!

— რა ამბავია? — ვკითხე ერთბაშად შეშინებულმა. მაგრამ, დავინახე თუ არა მისი ბედნიერებით გაბრწყინებული თვალები, მივხვდი, რომ საუდაგარის მოულოდნელი სიხარული როგორღაც დაკავშირებული იყო ჩვენს ოცნებებთან მანქანის შესახებ.

— იცი, შვილო ჩვენი ნოტარიუსი და ბაბბის ვაჭარი ლალა* საინ დასი ინგლისში საქმეებზე წავიდა. ჰოდა, ოქროთი მოვარაყებულნი რამდენიმე წყვილი ქოში დამიკვეთა ზღვევს-გადაღმა თავის კლიენტებისათვის მისართმევად. წასაღებად

* ლალა — ბატონი. ასე მიმართავენ მდიდარ ინდოელ ვაჭარს. იხმარება, აგრეთვე, პატივისცემის აღსანიშნავად.

** კაბადი — ხალხური თამაში, ძალასა და გონიერებაში შეჯიბრი.

ტყავის ნაქერს კერავდა და შუბლიდან ოფლის წვეთები ჩა-
მოსდიოდა. მის ორ შეგირდსა და თანასოფელელებს თავი
მოეყარათ ქოხში ჯვალის სანახავად.

— მოდი აქ, შვილო — წარმოთქვა საუდაგარმა, ამომხედა
და ღრმად შეისუნთქა მძიმე შესუთული ჰაერი, — ეს შენი
ფეხსაცმლის ზედპირია, უკვე დავიწყე კერვა, რადგანაც ამ
მანქანაზე შეკერილი პირველი წყვილი შენ გეკუთვნის.

მე დარცხვენინლად გავიღიმე და უცებ ძალიან მომიხდა
ხელით შევხებოდი ახალ შესანიშნავ მანქანას, რომელიც
ზუსტად ისევე იყო, საუდაგარს რომ მივუტანე რეკლამაზე
გამოხატული. ოღონდ საუდაგარის მანქანას არ ჰქონდა
ხუფი, სამაგიეროდ ნემსი მასში გაყრილი ძაფით სწრაფად
ხვრეტდა ტყავს და მახვილივით ეღვარებდა.

— ძია, როდის იქნება მზად ჩემი ფეხსაცმელები?

— მაღე მიიღებ, შვილო, — მიპასუხა საუდაგარმა, —
როცა კი თავისუფალ დროს ვიხელოვებ, ყოველთვის შენს
ფეხსაცმელს ვკერავ, რადგანაც ჯერჯერობით მთელი ჩემი
დრო სამუშაოს უნდა მოვანხარო, რომ როგორმე ლალა სანის
დასის ვალი გადავიხადო. ის ხვალ ბრუნდება ინგლისიდან.

მეწადის დუქანში სიარულს მოფუხშირე. ახლა მშობლების
წინაშეც ყოველთვის შემქმლო თავის გამართლებას: მივდივარ
გარიყულთა უბანში, რომ ვნახო როგორ მიდის შეპირებული
ფეხსაცმლის საქმე. რადგანაც ძველი, უხეში ინდური წაღები
დამეხდა და, საუდაგარს რომ არ შემოეეთავაზებინა ჩემთვის
საწუქარი, ალბათ, ჩემი მშობლები იძულებული იქნებოდნენ
ახლები ეყიდათ, ამიტომ ნება მომიცა იმდენ ხანს დავრჩე-
ნილიყავი მეწაღესთან, რამდენსაც მოვისურვებდი.

ჩემი ფეხსაცმლის ზედპირებს საუდაგარმა კიდევ რამდენ-
ნიმე სახიანი ლიანდაგი დაუმატა. შემდეგ, როგორც ნიმუში,
ქოხის კარზე გამოჰკიდა. მოხუცი სულ კერავდა და კერავდა
ინდურ წაღებს, რომ როგორმე დაეფარა ვალი — ათასი
რუპია და მისი სარგებელი, რომელმაც უკვე თხუთმეტ პრო-
ცენტს მიადგო. ლალა სანი დასმა განაცხადა: მანქანა გადმო-
ვიღვიანად და საბაჟოს გადასახადებით ათასი რუპია დაჯდაო.
ყოველთვის, როცა კი საუდაგართან მივდიოდი, მოხუცი
ჩამოსხნიდა ხოლმე ჩემი ფეხსაცმლის ზედპირებს, დიდი
ყურადღებით დაათვალიერებდა და მეტყვოდა:

— ამა, შვილო, მოშავალ კვირას ფეხსაცმლის პირებს
სარჩულს ამოვაკერებ, მერე შიტატას გავფაჯავნი ძირებისა და
საქუსლე ტყავის საშოვნელად. იქნებ შენ კაუჩუკის ძირები
გაჩრევინა?

— არა, ძია, მე მინდა ტყავის ძირები და კაუჩუკის ქუს-
ლები, — ვბასუბობდი გახარებული და უმაღლე მიქრებოდა
სასოწარკვეთილების გრძნობა, რასაც დაუმთავრებელი ფეხ-
საცმლის დანახვისთანავე განვიცდიდი ხოლმე.

— ორთავე ერთად შეუძლებელია, შვილო, — მეუბნებოდა
საუდაგარი ალორსიანად.

— ასეთი მოდა მინდა შემოვიღო.

— მოდი, შვილო, ჯერ ჩვილებბრივ ფიხსაცმელს შეგი-
კერავ, — მეუბნებოდა მოხუცი, — და მერე...

— როდის იქნება მზად? — ვეკითხობოდი სულწასული.

— ხვალ, ღვთის მადლით, ხვალ რამეს გავაკეთებ...

მაგრამ ეს „ხვალ“ აღარ დაილია. ჩემი ძველი ინდური
წაღები მთლად დაიფლითა, გადავყარე და სოლოში ფეხშიშ-
ვილა დაარსებულბოდი, თან ვჯავრობოდი მშობლებზე, რომ
არ მიყიდეს ახალი ინგლისური ფიხსაცმელი, და საუ-
დაგარზე, რომ არ შემიხარულა დანაპირები.

მე არ მესმოდა, რომ ჩემი მშობლები იმდენად ღარიბები
იყვნენ, — არ შეიძლოთ ჩემთვის ინგლისური ფიხსაცმლის
ყიდა, და გააოტებულს არ მინდოდა იაფფასიანი ინდური
წაღების ტარება.

— მოდი, ერთ წყვილ კარგ წაღებს გიყიდი, ისეთს, როგო-
რიც წინათ გქონდა, — მითხრა ერთხელ დიდაშ.

— არა! — ვუპასუხე გადაჭრით, — ინგლისური ფეხსაც-
მელი მინდა. შენ ნუ სწუხარ, საუდაგარი მიკერავს.

— არასოდეს არ ენდო მრეცხავს, ოქრომქედელსა და ფეხ-
საცმლის მკერავს, — მიპასუხა დედამ ანდაზით.

მაგრამ ჩემი რწმენა მთებს შესძრავდა, ყველაფერში
ღვთის ნება რომ არ ჩარეულიყო. საუდაგარი ავად გახდა და
რამდენიმე დღე ვეღარ მუშაობდა. ავადმყოფობის შემდეგ
როცა წამოვდგა, მისი ვალი უფრო გაზრდილიყო და ისე და-
ძახული შრომა უხდებოდა, რომ ჩემს ფეხსაცმელზე ფიქრის
დროც აღარ რჩებოდა, იმ ფეხსაცმელზე, რომელიც ასეთი
სიყვარულით გამოქრა და რომელზედაც თავისი მანქანით
პირველი გვირისტი გაატარა.

შევყურებდი მანქანაზე დახრილ მოხუცს. იგი მოთმინებით
შრომობდა. ოფლის წვეთები სახიდან კისერზე ცურდებოდა
და შემდეგ მიწაზე ეცემოდა. ვეღარ ვებედავდი მის შეწუხე-
ბას. დაჩაგრული მოხუცისადმი სიბრაულის გრძნობა თან-
დათან გადამეცა მანქანისადმი სიძულვილად. ცივი, უგრძნო-
ბი და უძრავი საკერავი მანქანა გადულხავს ზღუდელ იდგა
საუდაგარსა და ჩემს შორის

გულიდან იმედი ამოვიგლივებ და იშვიათად მივდიოდი
მეწადის დუქანში. მაგრამ ზოგჯერ მაინც ვფიქრობოდი, ერთ
დღეს საუდაგარს სინდისის ქნჯნა შეაწუხებს, ჩემს ფეხ-
საცმელს დაამთავრებს და თვითონ დამიძახებს-თქო.


მაგრამ ასეთი დღე აღარ გათენდა. მეწაღემ იმდენი ფეხ-
საცმელი შეკერა, რამდენიც მთელი სიცოცხლის მანძილზე
არ შეუკერავს, რათა როგორმე ვალი დაეფარა. მძიმე შრო-
მით გადაიქანცა, სიმწრის ოფლმა სისხლი გაუშრო და ერთ
საღამოს მომაკვდავი მიწას განებრთხო; სიკვდილის წინ ღვთის-
მოსავი ლექსი წარმოთქვა:

„შენი სიცოცხლის დღენი იღევა
და ღვთის წინაშე ვალები გრჩება“...

გაურკვეველ ფიქრებში წასული ვლუმდი. მტკივნეულად
განვიცდიდი საკუთარ დანაშაულს, რადგანაც ვგრძნობოდი
წილი მეღო მოხუცი მეწადის სიკვდილში. მე რომ მცოდ-
ნოდა, საუდაგარისა და მისი შეგირდებისათვის საქმარისი არ
იყო მხოლოდ მანქანის სიყვარული და მასზე მუშაობა, არა-
მედ საქირო იყო, რომ ისინი მანქანის მფლობელნიც ყო-
ფილიყვნენ, მაშინ შევძლებდი სოფელში გავრცელებული
აზრის დაგმობას, თითქმის საუდაგარი მოკლა ეშმაკმა, რომე-
ლიც საკერავ მანქანად გამოეცხადლაო.

ინგლისურიდან თარგმნა
ცინალა თოფშრიძემ.





პაპა ღიმიჯის ნაბობი

ბავშვები უვილ-ხვილით შემოვივდნენ ცხოში. სირბილისაგან სახე აღეწოდათ. მობობდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გაეწროთ.

— დედი, დედი! — შორიდანვე გაიძახოდა უჩა, — შეხედე რა თევზი დავიჭირეთ!

აივანზე გადმოდგა ახალგაზრდა ქალი, ბავშვები რომ დაინახა, დიმილი გადაეფინა სახეზე. უჩას, ლაყუჩებში ამოყრილი ანკესით, მართლაც კარგადი თევზი ეჭირა ხელში.

ბავშვებმა ოდა-სახლის აივანზე აირბინეს. უჩამ ჯერ კიდევ ცოცხალი, მოფართხალე თევზი პირდაპირ იატაკზე დაავლო.

— გადავადგე ანკესი, ჩამოვადგე და ვუტლი... — სულის მოუთქმელად, ქოშინით ჰყვებოდა გახარებული უჩა. — უცებ ვივარქნი, რომ ჩემს ანკესს რაღაც ეწეოდა... გამოეწიე და ძლიერს ამოვათრიე. ისე ეხეთქებოდა ჰქვებს, ისე ხტოდა, კინაღამ გამექცა!...

— სწორედ ასე იყო, გადავადგე ანკესი და... — ახლა უჩას დამ, შეავთვალა გვარკამ განაგრძო ისეთივე გატაცებით, — ვიჯექით და ველოდით...

მაგრამ მთლად უმცროსმა, მოუხენარმა და ცელქმა ხუტამ არც მას დააცადა სათქმელი რადემთარებინა, სიტყვა ჩამოართვა და თვითონ განაგრძო:

— უცებ ივარქნო, რომ ანკესს რაღაც ეწეოდა. წამოვყო. შვილების წანაღირვეთ წასამოვნები დედა ბავშვების ტიტინითაც ტკებობდა.

— ამას ახლავე მოგხარწავთ, ეს ძალიან გემრიელი თევზია. მდიდარია ჩვენი ერგუთი თევზით! — ტკბილად, ალერსით მოუგო დედამ და საშინაოში გავიდა, რომ ცეტხლა დაენთო, წყალი დაედგა და ბავშვებს გამასპინძლებოდა.

ამ სმეურზე, ყავარჯნით ხელში, ოთახიდან მძიმე ნაბიჯით გამოვიდა პაპა ღიმიჯი. ის უკვე ოთხმოცდაათი წლისა იქნებოდა, მაგრამ მონც მხნელ გრძნობდა თავს. თუმცა კოლმეურნეობაში აღარ მუშაობდა, მაგრამ სახლ-კარზე დაუზარებელი იყო. ევლოდა ბოსტანს, არც ვენახს სტოვებდა უყურადღებოდ, — ხან ჰვიგოს შეუღღამადა, ხან სხლავდა, ხან მოუშვებდა რუს და ჩწყავდა ვენახსაც და ბოსტანსაც.

პაპა ღიმიჯი თვალს გადაავლო თევზებს, მერე ბავშვებს გადახედა და სახე მოედრეშა. ფიქრებმა გაიტაცეს. მოსუტმა შორეულ წარსულში გადაიხედა. გაიხსენა თავისი ბავშვობა. მწარე მოგონებებმა დაალონეს და მდუმარედ ჩამოვდა სკამზე.

— რატომ მოიწყინე, პაპა? — გულთბილად მიმართა მას უჩამ. — განა არ გადახარა ჩვენმა წანადირკმა?..

— როგორ არ გამახარა, შვილო, ძალიან გამახარა, მაგრამ ჩემი ბავშვობის ურთი დღე გამახსენდა და იმან დამალონა.

— გვიამბე, პაპა რა გაგახსენდა!

შვილმეჩილები გარს შემოეხივნენ. მათ ძალიან უყვარდათ თაიანთა პაპა. ბოელ სოფელში არავის ჰყავდა ასეთი ხნიერი, ასეთი ყოჩაღი და ასეთი ჰქვიანი პაპა.

პაპა ღიმიჯიმ ყავარჯენი აიგნის მოაჯირზე მიაყუდა. ჩიბუხი ჩააქრო, უბეში ჩაიდო და დაიწყო:

— ბატარა ვიყავი, ათი წლის ბაღლი. სწორედ ეს დრო იყო — გაზაფხული. მთებში თოვლი დნებოდა, წვიმებიც მოდიოდა და ძალიან ადიდდა ენგური, — გადმოვიდა ნაპარებიდან, სიმინდის ყანები გადასილა. სოფელშიც კი შემოიქრა. გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა. ჯარგვლიდან გაცქეროდი და ველოდი, თუ როდის გადაიღებდა წვიმა და ენგურიც როდის მოიკლებდა. მთელი დღე მოლოდინში ვიყავი. მხოლოდ საღამოზე მოიკლო წყალმა. მდინარეც კალაპოტში ჩაღდა. შინ ველარ გავძელი და გარეთ გამოვევარი. შაშველი ფეხებით შემოვირბნე ჩვენი გასილული ცხო. უცებ დავინახე ხის ძირას რაღაც ფართხალეობა. ჯერ შევკრთა, მაგრამ მალე გონს მოვიდი. ახლოს მივირბინე და გავოცდი. მოსილულ მწიფე უზარმაზარი ზუთხი ფართხალობდა; აი, ამზე ბევრად დიდი, — მოხუცმა ხელი გაიშვირა თევზისაკენ, რომელიც ბავშვებს გადააიწყდათ კიდევ.

— მამა, თევზი! დავიძახე ხმამაღლა. — განაგრძობდა თავის ბავშვობის დროინდელ ამბავს პაპა ღიმიჯი. — გამოვარდა მამაჩემი.

— თნგურს შემოუტვია, შვილო! — თქვა მამამ სისხარულით, თევზს ლაყუჩებში ხელი ჩაავლო და ჯარგვალში შეარბუნა.

ყველას გვიხაროდა. მოგხარწავთ და შევქვით ამ გემრიელ თევზს. მამაჩემი კი ჩაფიქრებული დგას, მოწყურნათ დასცქერის თევზს და ხმას არ იღებს.

— არა! — გადაწყვეტილი თქვა ბოლოს მამაჩემმა. — ჩვენ ამას არ შევქვით. ბატონმა რომ გამოგოს, — მისი მდინარის თევზი შევქვამე, — ცუდ დღეს დამაყენებს. უიქველად დამსჯის. ბატონს უნდა მივართვა!

ყველას გული დაგვწყდა, მაგრამ რადგან მამას ბატონისა ეშინოდა, დედამაც საწინააღმდეგო ეცრაფერი უთხრა. მამამ თევზი კალათში ჩაღო და ბატონისაკენ გაეშურა. უხაროდა კიდევაც — ბატონს ვასიამოვნებო.

კარგა დრო გავიდა.

ღედა ფიქრობდა: წასიამოვნება ბატონი ღვინოს დააღვიძნებს და მის შექუთიანებულ დაბრუნდება. მაგრამ პირიქით. მამა ძალიან დაჯავრებულ დაბრუნდა. სიწინაუღიო აქნედა თავს.

— როგორც ჩანს შენ ხშირად იძურობენ თეგებს და ჩემ-ჩუმად მიირთმევი. ამის შემდეგ ყოველ გაზაფხულზე სამ-სამი ზუთხი მომართევი, ებრძანებინა ბატონს.

პაპა დიმიტრი გაჩუმდა.

ბავშვები განცვიფრებული შესტკეპოდნენ მას. ბატონიც წარმოუდგათ თვალწინ — მკაცრი, სასტიკი, უსამართლო. ისიც იცოდნენ, რომ ბატონებს ეკუთვნოდათ საყანე მიწები, ვენახები, ტყეები, მაგრამ ის კი არ ეგონათ თუ მდინარე, რომელიც სადღაც მაღალ მთებში იზადებოდა და მოუვალ ხეებში ლაღად მოიხრიალებდა, ბატონის საკუთრება იქნებოდა!

— ასე იყო, ჩემო ბატარებო, სწორედ ასე!.. — დააყოლა პაპა დიმიტრი და სიყვარულით გადაავლო თვალი განცვიფრებულ ბავშვებს.

— ჩვენო საყვარელო პაპა, — გულისტკივილით მიმართა გვანცამ, — ერთი ისიც გვითხარი, თეგები რომ არ მიეტანა, რას უზამდა ბატონი?

პაპა დიმიტრი წამოდგა, აიენის მოაჯირს გადაეყრდნო, სოფლის ბოლოსაკენ ხელი გაიშვირა და დაუმატა:

— აგერ იქ, იმ ციხეში ჩაადგებდა და დღის სინათლეს აღარ აღირსებდა.

იქ კი, საითაც პაპა დიმიტრიმ ხელი გაიშვირა, ენგურის მახლობლად იდგა რუხას ციხე. უკვე ჩამონგრეული, დაქცეული კედლებით, რომლებიც მწვანე ფოთლებით დაეფარა სუროს, თითქოს მალაუდა ამ ციხეში მომხდარ ყველა უსამართლობას.



მინი ძნელაქი

დაწამთრდა

კარზე მოგვადგა უკვე ზამთარი, —
მზეს სიმხურვალე გამოეღია...
თოვლის ფიფქები წვიმას აქა-იქ
ჭაღარასავით გამოერია...

მაღალი მთები ბურუსში არ ჩანს,
აღარ ქათქათებს ბალახზე რთვილი...
ცეცხლი გატკბა და ასი წლის პაპას
თავს ურჩენია ბუხარი თბილი;

გარეთ კი... თოვს და ყმაწვილებს გული
სინათლითა და შვევით ევსებათ...
ცას ეწევიან ამ სინარულით, —
საცაა ფრთები გამოესხმებათ...

— დარი კარგია!
— წვიმაც კარგია!
— თოვში ყოფნა უკეთესია!
გახარებულნი
ხტიან,
დარბიან, —
ერთიმეორეს ფუნდებს ესვრიან.

მატულობს თოვა...
თოვასთან ერთად
გულში მატულობს შვევა-ხალისი;
ხვალ ყველაფერი იქნება თეთრად, —
რა ბევრი საქმე გაჩნდა ხვალისთვის!



ნახ. შ. ცხადაძისა

კლავსი ბეჟი

აბურდანა და ბურდანა

ბევრ თქვენგანს იქნებ არც კი გაუგონია, რომ კალამდარი-ის კუნძულზე პალმის ფოთლებით დახურულ ლერწმის სასახ-ლეში ოდესღაც ცხოვრობდა საარაკო მეფე-დედოფალი, აბურ-დანა და ბურდანა. მათ ცხოვრებაზე ბევრ უცნაურ ამბავს გადმოგვცემენ. მაგრამ მე აქ მხოლოდ ერთი ამბავი მინდა მო-გიტხროთ.

აბურდანას თავი მეტად გულად და ბრძენ მეფედ მოჰქონ-და, დედოფალი ბურდანა კი, დიდ ჭკუასთან ერთად, სათ-ნობასაც იჩემებდა.

აბურდანა იყო კალამდარიის პირველი და უკანასკნელი მეფე, რომელმაც ქვიშის თოკის გრება გამოიგონა. ერთხელ, რომელიღაც უცხო ქვეყანაში მოგზაურობის დროს, აბურდა-ნამ შემთხვევით ყური მოჰკრა ორი დიასახლისის საუბარს:

— დაო, რა ღირდა დღეს ბაზარში სურსათი? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— ეჰ, ჩემო დაო, ნულარ მკითხავ, — ნადვლიანად უპა-სუნა მეორემ, — ისეთი სიძვირია, რომ ყველაფერი ქვიშის თოკის ფასად იყიდება. ამიტომაც ხელცარიელი დავბრუნდი.

ამ საუბრის გამგონე მეფეს უმალ თავში უცნაურმა აზ-რმა გაუღელვა: „როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ქვიშა არ მოე-პოვებათ, თორემ ქვიშის თოკი ყველაფერზე ძვირად რატომ უნდა ფასობდეს? ჩემს კალამდარიაში კი, რომელსაც ირგ-ვლივ ზღვა აკრავს, ქვიშა რამდენიც გინდა არის და მას არა-ვითარი ფასი არა აქვს. მოდი იმ ქვიშას სულ თოკებად გადა-ვაგრებინებ და ოქროზე გადავცეოლი... იმდენი ოქრო მექნება, მგონი, კალამდარიაში არც კი დაეტოვს. მაშინ ლერწმის სა-სახლის ნაცვლად ოქროს სასახლეს ავიგებ“.

ამ აღმოჩენით გახარებული აბურდანა მაშინვე კალამდა-რიაში დაბრუნდა და ხალხს უბრძანა ფიცხლავ შესდგომოდ-ნენ ქვიშის თოკების გრეხას.

მართალია, მეფის ამ ახირებული ბრძანებიდან არავითარი ხერი არ გამოვიდა, და ენამახვილი კალამდარიელები ერთ-მანეთში ჩუმად ამბობდნენ: როცა ადამიანებს ჭკუას ურიგებ-დნენ, ჩვენი მეფე ალბათ ჭურში იჯდაო, მაგრამ, სამაგიე-როდ, აბურდანას ამ უცნაურ სურვილს კუნძულის მოსახლე-

ობის სიცოცხლე კინაღამ შეეწირა. და ეს სულ იმ ვიღაც ენატანის ბრალი იყო, რომელმაც აბურდანას ყურში ჩააწ-ვეთა: ხალხი უქკუო მეფედ გთვლის და დაგცინისო.

— როგორ თუ დამცინიან? — წაშიყვირა აბურდანამ. — მე მათ ვუჩვენებ სერის... კალამდარიელებს სათითაოდ ქვა შევაბით ყელზე და ზღვაში გადაყარეთ! — უბრძანა მან თავის ვეზირებს.

რა უნდა ექნათ? სულერთია მეფე გონიერ რჩევას არ შე-ისმენდა, მრჩევებს კი თავს მოსჭრიდა. ამიტომ შეუდგნენ კალამდარიელების დახრჩობას. ადამიანს ყელზე გამოაბამ-დნენ ლოდს და ზღვაში გადაუძახებდნენ, მალე უთუოდ ყვე-ლა მცხოვრებს დაახრჩობდნენ და კუნძულზე მეფე-დედოფალ-სა და ჯარისკაცების გარდა ცოცხალი არვინ დარჩებოდა, მაგ-რამ ერთმა ბრძენმა ვეზირმა სერხი იხმარა და აბურდანას მო-ახსენა:


— თქვენო უდიდებულესოებო, მეფე ბატონო, კუნძულზე ქვა უკვე გათავდა, მარტო წვრილი კენჭები-ღა დარჩა. როგორც ჩანს, ხალხი ქვებზე დიდად ბევრი გყვოლია, რადგან ჯერ ნახევარიც არ დაუხრჩვიათ. რა ვქნათ? დასჯოლს კისერზე კენჭები რომ ჩამოვიკიდოთ, არ ჩაიძირება, მსხვილი ქვები კი არასდ არის...

— რაკი ქვები არ გყოფნით, რა გაეწყობა — თქვა აბურ-დანამ. — კენჭები ხომ არის? ჰოდა, ცოცხლად დარჩენილთა დახრჩობას გადავდებ იმ დროისათვის, სანამ კენჭები დიდ ქვებად გაიზრდებოდნენ.

კენჭები ლოდებად აბა როდის გაიზრდებოდნენ, და კალამ-დარიელებიც გადარჩნენ ამოწყვეტას.

იმ დღიდან კალამდარიელებმა ჭკუა ისწავლეს. ისინი ამ-ბობდნენ: „ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო“, და აბურდანასა და ბურდანას, რაც გინდ სისულელე არ ჩა-ედინათ, სულ ქება-დიდებას ასხამდნენ, ცამდე აპყავდათ. ისინი გულში ისევ დაცინოდნენ მეფე-დედოფალს, მაგრამ ამათ ხალხის გულში ჩახედვა აბა საიდან შეეძლოთ? ამისათ-ვის ხომ ჭკუა და გულისხმა უნდა ჰქონოდათ!

აბურდანასა და ბურდანას ლერწმის სასახლის გვერდში



მშენებელი ბაღი იყო. ბევრს სიზმარშიც კი არ მოელოდადებოდა ისეთი სურნელოვანი ყვავილები და ცაღამოლტილი ხშირფოთლიანი ხეები, როგორც ამ ბაღში ხარობდნენ. ბაღის ერთ მხარეს ხელოვნურად აღმართულ მთის კალთიდან ბროლივით კაშკაშა წყაროები და ჩანჩქერები გადმოქუხდა, ისეთი საამო სითავე ჰქონდა, რომ იტყვიდა — მკვდარსაც კი სულს ჩაუღვამსო.

ზავსულის ერთ ცხელ დღეს მეფე-დედოფალი, ამაღლის თანხლებით, ბაღში სეირნობდა. ერთ-ერთ წყაროსთან ჩამოიარეს და მისი საამო ლიკლიკით ტკბებოდნენ. ამ დროს, მათდა საუბედროდ, ბურღანას წყლის დაღვევა მოუხდა. მხეველმა ქალმა ბროლის ორშიმოთი დედოფალს წყაროს წყალი მთავრთვა. როგორც კი დედოფალი ბროლის ორშიმო პირთან მიიტანა, წყაროს საჩქეფიდან რაღაცამ ბოხი ხმით დაიძახა:

— გამოვხტე თუ არა?

ბურღანას ბროლის ორშიმო ხელიდან გაუვარდა და დაიმხვრა, აბურღანას კი შიშით თავზე თმა ისე აეჯგაგრა, რომ ქული გადაუვლო.

— გამოვხტე თუ არა? — გაისმა ისევ წყაროს საჩქეფიდან.

— გამოხტება და გადაგვუღაპავს.. — დაიდრიალა შიშით აძაგმაგებულმა მეფემ: — არა, არა, უთხარით, ნუ გამოხტება! — მთავრთა მან ამაღლას.

გულწასული ბურღანა მიწაზე ეგდო. აბურღანა ჯერ კიდევ იდგა ფეხზე მაგრამ მთვრალივით ბარბაცებდა და თვალს არ აშორებდა წყაროს საჩქეფს, საიდანაც ის საზარელი ხმა ისმოდა.

მეფის ამაღა გულადი ვაჟკაცებისაგან შედგებოდა, მათ ხელები ხმლის ვადაზე ედოთ და მზად იყვნენ დაეძახათ: „გამოხტო“, მაგრამ მეფის რიღით თავს იკავებდნენ, რადგან უყვე ხმაივარდნილი აბურღანა მათ ხელებით ანიშნებდა, — უთხარით, არ გამოხტესო.

— გამოვხტე თუ არა? კვლავ გაისმა წყაროს საჩქეფიდან და აბურღანა შიშით მთლად წახდა. მას ახლა არაფრის თავი აღარ ჰქონდა; იჯდა მიწაზე და საჩქეფს მიშტერებოდა. მას ეგონა — წყაროს საჩქეფში თუ მეტი არა, ასთავიანი ურჩხული მანაც იჯდა, რომელიც სადაცაა გამოხტებოდა და გადაუღაპავდა.

კარისკაცებმა აბურღანას ურჩიეს იქაურობას გასცლოდა, მაგრამ მან წასვლაზე უარი თქვა. თქვენ გგონიათ უარი იმითომ თქვა, რომ წასვლა ლაჩრობად მიაჩნდა და რცხვენოდა? სრულიად არა! ახლა მას გულადი მეფის სახელზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. ის მხოლოდ ამას ფიქრობდა: როგორც კი მივბრუნდები და პირს სახლისაკენ ვივამ, ურჩხული მაშინათვე გამოხტება და მეცემო.

დაღამდა. აბურღანა და ბურღანა ისევ წყაროსთან ეყარნენ და, შიშით გათანგულეები, სულს ძლივს ითქვამდნენ. ამაღაც, მეფის რიღით, ადგილიდან ვერ იძვროდა. საჩქეფიდან კი დროდადრო ისევ ისმოდა — „გამოვხტე თუ არა?“

ასე ვავიდა რამდენიმე დღე. მთელ კალამდარისს მოელო მეფე-დედოფლის ამბავი. კალამდარიელები თავს ვერ იკავებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ: ჩვენი აბურღანა მეფე ახლა მანაც გამოტყდეს, რომ მისი გოგრა თავი ვერაფერი ჰქუის კოლოფია, ხოლო მისი გულადობა კურდღლებსაც კი არ შეწურდებათო. ბოლოს, ვიღაცამ თქვა: „წავიდეთ, ხალხნო, მოვკლათ ის ურჩხულია თუ რა ჯანდაბაა, თორემ სირცხვილია, რაც უნდა იყოს, აბურღანა ჩვენი მეფეა და ბურღანა ჩვენი დედოფალი... რა სათქმელია, ვერაფერი შეიღნი ბრძანდებიან, მაგრამ რას ვივამთ, ნათქვამია: როგორც არ უნდა იყოს, შენი მკვდარი ისევე შენ უნდა დამარხოვო. ჰოდა, სირცხვილია, რას იტყვიან მეზობელი ქვეყნების ხალხები? — კალამდარიელებს ლაჩარი და უჭკუო მეფე ყავთ, მაგრამ ისინი უკეთესის ღირსი არც ყოფილანო“...

ხალხს ეს აზრი ჰქუაში დაუჯდა, მოითათბირეს და ერთი, ყველაზე რჩეული ვაჟკაცი გაგზავნეს ურჩხულის მოსაკლავად. რჩეული ვაჟკაცი აბურღანას სასახლეში მივიდა, მაგრამ

კარისკაცებმა ის ბაღში არ შეუშვეს: საქმე ვაჟკაცობაზე რომ იყოს, ჩვენ აქ არა ვართო? მეფეს არ სურს ურჩხული საჩქეფიდან გამოხტესო.

რა უნდა ექნა რჩეულ ვაჟკაცს? ადგა და უკან გამობრუნდა. გზაზე რომ მიდიოდა, იფიქრა, — მოდი მეფის ბაღში ღამით ჩუმად შევიპარები და ვნახავ მანაც რა ხდებაო.

მართლაც, გვიან ღამით ის ბაღში შეიპარა და წყაროსთან მივიდა. ღონეხილილი აბურღანა და ბურღანა სულს ძლივს ითქვამდნენ; ღამეების თევით დაქანცულ ჯარისკაცებს ჩასმინებოდათ. რჩეულმა ვაჟკაცმა წყაროს საჩქეფისკენ მიიხედა თუ არა, მაშინათვე გაისმა:

— გამოვხტე თუ არა?

— ნუ, ნუ გამოხტებიო.. — ძლივს წაიღულღულა აბურღანამ.

— გამოვხტე თუ არა?

რჩეულმა ვაჟკაცმა დაასწრო აბურღანას, ხმალი იშინვლა და დასქექა:

— გამოხტო!

— ვაიმე, დავიღუპეთ! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს აბურღანამ და ბურღანამ.

— გამოხტო, ჰა, გამოხტო! — კვლავ დასქექა ვაჟკაცი.

წყაროს საჩქეფიდან ერთბაშად რაღაც გადმოემგა, რჩეული ვაჟკაცის წინ მიწაზე დაეცა და ისეთი ხმა გამოიღო, თითქოს ხარის ბუშტი გასკდაო.

ვაჟკაცმა მას ხმლის წვერით უბიძგა, — გომბემო ყოფილიყო! — გადმოკარკულულ თვალებს ზანტად ყვლიპავდა და აბურღანას შეჭყურებდა.

„ესეც თქვენი გულადი მეფე!“ — ამყად ჩაიყვინა გომბემომ და, უკანა ფეხებზე შემდგარი, ცისფერი ჰორტენზიებით შემორგულ ბილიისკენ წაბაჯბაჯდა.

თქვენ როგორც გინდა—თქვით, მაგრამ გომბემოს ამგვარი ხუმრობა აბურღანასა და ბურღანას ძვირად დაუჯდა: როცა რჩეულმა ვაჟკაცმა მეორედ დაიძახა, „გამოხტო“, — მეფე დედოფალმა შიშით სული განუტევეს.

იგლოვეს თუ არა კალამდარიელებმა აბურღანა და ბურღანა, ამაზე ისტორია დუმს, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მათი სიკვდილის შემდეგ კალამდარიის კუნძულზე მეფე აღარავის უნახავს.



ავლაბრის სტამბის დარბევა


უცერად ზარის წკრილი გაისმა. ყველანი შეკრთნენ. გიგო ლელაშვილმა საბეჭდი მანქანა შეაჩერა. სტამბაში სიჩუმე ჩამოვარდა.

ეზოში შემოსავალ კარზე დააკაკუნეს. ბაბე ბოქორიძე კი-ბეზე დაეშვა საჩქაროდ და ქიშკარს მიაშურა.

- ვინ არის მანდ?
- პოლიციელი! გააღეთ კარი!
- მობრძანდით, გეთაყვა.

პოლიციელმა ზედ არ შეხედა ბაბეს, პირდაპირ აივნისაკენ გაემართა. ორი-სამი ნაბიჯი და აივანზე იქნება. არასდროს! ოთახში დასტებდა აწყვია საბრძოლო ფურცლები. გული შეეკუმშა ბაბეს, რა მოიმოქმედოს ისეთი, რომ სტამბა გადაარჩინოს!

უცერად პოლიციელი შედგა და თვალი გაუშტერდა. ბაბემ თვალი გააყოლა პოლიციელის მწერას — აივნის ბოლოში მაგიდაზე არყით სავსე ბოთლი იდგა. ბაბეს სახეზე სიხარულმა გადაურბინა. ბოთლს ხელი წაატანა, ქიქა პირთამდე აავსო და პოლიციელს მიაწოდა.



ავლაბრის არალეგალური სტამბის მკვეთის კრილი.

- პოლიციელმა მოწიწებით გადაჰკრა არაყი.
- მაგარი ყოფილა! შინ გამოსდილია?
- აბა, ვინ მომართმევდა! ჩემი ნაშრომია, გეთაყვა!
- რაკი შენი ნაშრომია, ერთიც დაასხი!
- დალიე, გეთაყვა...

პოლიციელი შინ აღარ შესულა, მობრუნდა და ბარბაცით მიაშურა ქუჩას.

1906 წლის 13 აპრილს მზიანი დღე გათენდა. გაზაფხული მწვანით იმოსებოდა. სტამბის ხელმძღვანელს მიხე ბოქორიძეს კი ფიქრი არ ასვენებდა. აივნიდან მოწყყენით გაჰყურებდა ეზოს.

ერთ ხანს ასე ფიქრობდა, შემდეგ ეზოში ჩამოვიდა და ქიშკარი გამოაღო. უცებ იქვე კართან ვიღაც უტენობი დაინახა, რომელიც ვითომდა გაზეთს ჰკითხულობდა. „ჯაშუში!“ გაუელვა მიხოს და უკანვე შებრუნდა. ფრთხილად გაჰყვა მესერის და მოულოდნელად ქუქრუტანიდან მეორე ჯაშუშიც შენიშნა.

- საჩქაროდ ოთახში შევარდა.
- რა მოხდა? — შეეკითხა ბაბე.
- ჩუმაღ! — თქვა მან. — ჩვენს კვალს მოაგნეს. სასწრაფოდ ყველაფერი დაბლა ჩაუშვით, სტამბაში. მე კი ამის შესახებ პარტიულ კომიტეტს ვაცნობებ. ხვალ სტამბა უნდა დაეტოვოს. შენ კი, ამხანაგო ნინო ალაჯლოვა, ქიშკარზე თვალის ასახვევად ასეთი წარწერა გამოაკარი: „ეს სახლი ქირავდება.“

1906 წლის 15 აპრილს გათენებისას პოლიციამ სტამბას ალყა შემოარტყა, მაგრამ რევოლუციონერები სტამბაში არ აღმოჩნდნენ.

დაიწყო ჩხრეკა. პოლიციელები გაფაციცებით ეძებდნენ სტამბაში ჩასასვლელს, მაგრამ დიდხანს ეძებდნენ ამაოდ.

- უკეთ მოძებნეთ! რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ფარული შესასვლელი უნდა ვიპოვნოთ!
- ფარულში სამი ბომბი ვიპოვნეთ! — მოახსენეს უფროსს. პოლიციის უფროსი ფარულში შევარდა და ქაშაშჩინა. ქამ ძალზე დააქევა იგი და ქაღალდისა და ასანთის მოტანა ბრძანა.

ციცხლწყვილებული ქალაღი უფროსმა ქაში ჩააგდო. სანამ ქალაღი წყალს მიადწევდა, უცებ უცნაური რამ მოხდა, იგი თითქოს კედელმა შეიტაცაო, ხელმარცხნივ გაქრა.

ქალაქიდან მებნძრე გამოიძახეს და თოკით ჩაუშვეს ქაში. — თქვენო მაღალკეთილშობილება, — მოახსენა უფროსს მებნძრემ, — ქის კედელში ჰორიზონტალური გვირაბი გადის.

იმავე წუთს მესანგრეები იატაკის აყრას შეუდგნენ, და სტამბა აღმოჩენილ იქნა. პოლიციამ ხელთ იგდო 50 ფუთამდე პროკლამაცია, 80 ფუთამდე შრიფტი, 20 ფუთი ქალაღი, 18 შრიფტ-კასა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბორატორია, მრავალი ბეჭედი, პასპორტი... და ლენინისა და სტალინის დაბეჭდილი შრომები.

სტამბა ააფთქეს, სახლს ციცილი წაუყიდეს, ქა მიწით ამოავსეს.

ავლაბრის არალეგალური სტამბა აღდგენილ იქნა 1936 წელს. მისი საზეიმო გახსნა მოხდა 1937 წლის 20 აგვისტოს. რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით სტამბაში შეუჩრებელ ნაკადად მოედინება სახლი.

ავლაბრის არალეგალური სტამბის მნიშვნელობა განუზომელია. იგი მოგვითხრობს იმ დიდ ბრძოლებზე, რომელსაც ეწეოდნენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ცარიზმის დასამსობად და პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებლად.

სერგო თურნავა

ღამაზა და მისი მეგობრები

მისის თბილი ხალისიანი დილაა.

ჩანთებითა და კალათებით დატვირთული ოთხი კოლმეურ-
ნე ჩქარი ნაბიჯით გაუდგა სასოფლო გზას. აი, კიდეც გას-
ცდენ სოფელ როხს და ხეზე გავლით აუყვნენ საირმის ვიწ-
რო ბილიყს.

ჯერ ფოთლოვანი, შემდეგ წიწვიანი ტყის ბილიყი გალიეს
და გზის პირას წაქცეულ ხესთან შეჩერდნენ და ჩამოჯდნენ,
შეისვენეს.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ კოლმეურნეებმა გზა განაგ-
რძეს. მალე ერთა პატარა მინდორთან შეჩერდნენ. აქ მათ ჩან-
თებიდან ხის საჭრელი იარაღი ამოალაგეს და შეუდგნენ იქ-
ვე საკარვე ჭოღების მომზადებას.

— თქვენ აქ გაშინდით ადგილი და მე ცოტას გავივლი.
— თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე თენგიზმა და სწორი
ტყისკენ ვიწრო ბილიყს აუყვა.

მას ასი მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, როცა ტყის შიგნით
უჩვეულო ფრუტული მოესმა, კარგად გაიხედა ნაძვებს შო-
რის და პატარა ბუჩქებთან, ბორცვზე, საძოვრად მიმდგარი
ორი ირემი დაინახა.

თენგიზს გული აუთრთოვდა. შეჩერდა. გაინახა და გა-
ტაცებთ დაუწყო მათ ცქერა... „აი დედასა, თოფი
მომცა... მაგრამ დანა ამ ლამაზებს მოკლავს კაცი?... არა,
დღე იკოცლონ. ტყის უწყინარი ცხოველებია“. ირემები
უცებ შეკრთნენ, თავი მალა აიღეს და თითქოს საფრთხე
იგრძნესო, ტყეში გაპქრნენ. თენგიზი გაყვა ბილიყს, მივი-
და ბორცვიდან და ასეთი სურათი წარმოუდგა. ორი პატარა
ირემი ჩირგვან მწვანე ბალახში იწვნენ და ფრუტუნებდნენ
მოზრდილი ირემი ზეზე წამოიარდა და ტყეში გაიჭრა. პატარა
წამოლდა. მაგრამ იქვე ბუჩქებში გაიხლართა. თენგიზი
თავდავიწყებით გაექანა და ირმის შვილს ფეხებშია ზელი
წავლო.

ჩამდენიმე დღის წუყრმა გაქცევა ვერ შეძლო. თენგიზმა
იგი აიხუტა და თანამგზავრებთან მიიყვანა.

— წაიყვანე როხში, ძროხის რძე აქამე.

— გაიზრდება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, მაინც ვერ
დააკვებ, გაიქცევა. — უთხრა გიგომ. თენგიზი შეეყოყმან-
და, მაგრამ მაინც დასტოვა თავისი თანამგზავრები და სახლი-
საკენ გაეწურა. წუყრი ტომარაში ჩასვა და ბნდისას სახლში
მიიყვანა.

— რაშია საქმე, რატომ დაბრუნდით, რაშიე ხიფათი ხომ
არ შეგეშთებთ? — გარცხებული შეეჩებენ თენგიზს სახლში.
არაფერია, წუყრი მოიყვანა. ჩვილია, უნდა გაიზარდოთ...
ძროხის რძე მომიშხადე და საწოვარა, უნდა ვაქამოთ მშობი-
რია...

თენგიზის ბავშვები — თამაზი და რეზო თვალმზავრებ-
რებულნი დასცქეროდნენ მათთვის უცხო პატარა ირემს. მალე
პატარა ბოთლით თბილი რძე მოიტანეს, საწუწნი რეზონა
ბოთლიას თავზე მოარგეს და ჩვილ ირემს პირში ჩაუდეს.

— ცოტა მოწოვა, ხვალ უფრო უკეთ შეეჩეკვა ჭამას, —
თქვა თენგიზმა და წუყრი თბილად ჩაფენილ გოდორში
ჩასვა.

— მამი, რა დაიარქვათ?

— „ლამაზა“, შვილო.

ასე დაიწყო ლამაზას ახალი ცხოვრება კოლმეურნეობის
თავმჯდომარე თენგიზ სუპატაშვილის ოჯახში. ორი კვი-
რის შემდეგ ლამაზა ირემი დადიოდა. მართალია მას რბილი
თასმა შემოაბეს ყიღზე, მაგრამ მაინც იშვიათად აბამდნენ.
ბიონერები — 12 წლის თამაზი და 10 წლის რეზო ლამაზას
განუყრელი მყოვრები გახდნენ. აქმეიდნენ რძეს, ბოსტნე-
ულს, ფოთლებს, ახალ ბალახს და ხილსაც კი.



გავიდა ჩამდენიმე თვე. ერთხელ რეზო სკალიდან დაბ-
რუნდა თუ არა, ლამაზასთან მივიდა, რომელიც ვენახის
გვერდზე ალვის ხეებთან იწვა.

— აღექი ლამაზა, გაეიაროთ, — ალვრით მიმართა რეზომ
და ხელი კისერზე გადაუსვა, მაგრამ ლამაზა რაღაც უხასია-
თოთ იყო და წოლას განაგრძობდა.

— აღექი! — ლამაზა წამოდგა და უკანა მარცხენა ფეხი
აკოვლებით ჩამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

„ფეხი სტკავა! — მორთოა რბილი რეზომ. — არიქა, ჩქა-
რა ვუწამლოთ...“

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა, გასინჯეს ლამაზას ფეხი.
ფლოქს ზევით პატარა იარა უნახეს. თენგიზმა ნატყენი
ფეხი თბილი წყლით მოხანა, ვაზელირში არეული სტრეპ-
ტოციდი წაუსვა და მარლით შეუხვია.

სამი დღის შემდეგ იარა მომუშადა და ლამაზამ ეზომე
ისევ კუნტრულში დაიწყო.


გავიდა ერთი წელი. ლამაზა გაიზარდა. ის შეეჩეკა ცხვრებს,
ძროხას, მათთან ერთად ძოვდა ბალახს, კენეტდა ბუჩქებს.

ლამაზა მახლობელ ტყესაც შეეჩეკა, მაგრამ ყოველ-
თვის უკან ბრუნდებოდა სოლმე.

დღეს ლამაზა ერთი წლის და 5 თვისაა, რქებიც ამოუვი-
და. ახლა ის ლენინის სახელობის სოფელ როხის კოლმეურ-
ნეობის ფერმის სწორი სტუმარია. ფერმა კოლმეურნეობიდან
5 კილომეტრითაა დაშორებული. იქვე ახლო ვარცხის ტყეა.
ლამაზა ამ ტყეში დადის და საღამოს ისევ ბრუნდება ფერმის
წენობაში. ზაფხულში აქ მას კარგი სადგომი მოუწყვეს.

განსაკუთრებულ მეგობრობას უწყვეტ ლამაზას ბიონერი
რეზო. ის ლამაზას არ შორდება, უვლის, ვალერსება... რეზოს
რამ დაინახეს, ლამაზაც მისკენ გაექანება სოლმე.

3. ლალიაშვილი
ფოტო ი. საყუნისა



ალექო შენგელიას საბავშვო ლექსები და პოემები

პოეტ ალექო შენგელიას საბავშვო ლექსები თანამედროვეობის აქტუალური თემებისადმი მიძღვნილი. მის



ლექსებს ასახაიებებს ლაკონიურობა, სისადავე.

ალექო შენგელიას საბავშვო ლექსების ლირიკული გმირი საბჭოთა საშობლოს ნორჩი მოქალაქეა, რო-

მელიც იზრდება საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, შრომისადმი, სწავლისადმი, წიგნისადმი სიყვარულით. პოეტი მიმართავს ნორჩ მკითხველს:

„გსურს ასახელო
მშობელი მხარე,
მას ემსახურო
საქმით და ფიქრით?
ამისთვის წიგნი
ავიხელს თვლებს,
ამისთვის უნდა
გიყვარდეს წიგნი!“

სასკოლო თემსზე ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ბევრი ფრიალ საგულისხმო ნაწარმოებია დაწერილი. მიუხედავად ამისა, ალექო შენგელიას ლექსი: „მეორეკლასელი“ გამოირჩევა თემისადმი ორიგინალური მიდევნებით, ბავშვის ბუნების ცოდნით. გესარებულო გია მადლობას უქაღვინს სარკმელთან მოკიკიკივ წიქტს, ყვავილებს. გიას სიხარული ყველამ გაიგო და გაიზიარა. რა არის გიას სიხარულისა და აღტაცების მიზეზი? როგორც ამ პატარა მოცულობის ლექსის ფინალიდან ჩანს, გია დღეს მეორე კლასში გადასულა და ეს აკისრებს მას მრავალეობას, იყოს უფრო

სერიოზული და შრომისმოყვარე. მრავალფეროვან საინტერესო კრებულში მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ლექსები: „დედა“, „ჩემი ხათუნა“, „საუბარი ვაჟა ფშაველას“, „შვილის ნუკრთან“, „ვინ მინდა ვიყო?“, „ანბანთ სიმღერა“ და სხვ.

წიგნში ლექსების გარდა შეტანილია ორი პოემა: „ზიზო დელოფალი“ და „ფისო ლომგული“. ამ უკანასკნელში აღწერილია თავგისა და კატის მტერ-მოყვარეობა. ამ თემსზე მრავალი ქართული ზღაპარი მოგვეპოება. მიუხედავად ამისა, ალექო შენგელიას „ფისო ლომგული“ დიდი ინტერესით იკითხება. პოემა ზიზოს აღძრავს ყოველივე არაკეთილისადმი, უპატიოსნობისადმი, სიბოროტი სადმი. ყველას, — გვასწავლის პოემა, — ვინც წესიერი შრომით არ ცხოვრობს და მიჩვეულია ქურდბაცაცობას, ისეთივე დღე მოვლის, რაც თავეებს დაადგათ.

ალექო შენგელიას „საბავშვო ლექსები და პოემები“, რომელიც „საბლიტგამმა“ გამოსცა, კარგი საჩუქარია მოზარდი თაობისათვის.

ბაკურ ბახტუჩიძე

ხუჯა ბერულავა — „მზონას ნიგნი“

„მზონას წიგნი“ საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულია. პოეტმა ხუჯა ბერულავამ არა ერთი საინტერესო ლექსი უძღვნა ნორჩ მკითხველს. ხუჯა ბერულავას სა-



ბავშვო ლექსები: „გაცილება სკოლაში“, „ზოიას ჩივილი“, „ლოა სცენაზე“, „მამლაყინწას ამბავი“, „სკოლისკენ“, „მზონა“, „სტუმარი“ და სხვ. მოგვიწოდებენ და გვასწავლიან სიბეჯითეს, თავმდაბლობას, მშობლებსა და აღმზრდელი მსწავლებლების, სამშობლო ქვეყნის სიყვარულს. პოეტი ასეთი დარიგებით ისტუმრებს სკოლაში მიმავალ ბავშვს:

„მინდა ისევ დავარტო,
მაგრამ წადი, ჩემო ლხენავ,
ჩემს მაგიერ აწ ყველაფერს
გეტყვის შენი დედა-ენა.“

ლექსების უმრავლესობაში პოეტი მეგობრობაზე გვესაუბრება. მოსწავლეები გულითადი მეგობრები უნდა იყვნენ, ერთის გულისტყვილი — მეორის გულისტყვილი უნდა იყოს, ერთის გამარჯვება კი — მეორის გამარჯვება.

ხუჯა ბერულავას საბავშვო ლექსების კრებულში ყურადღებას იპყრობს ლექსი: „შემატებოდეს თქვენი გუარებიც“. თბილისის პირველი საშუალო სკოლის შენობაში ძველად

გინანზია იყო მოთავსებული. აქ სწავლობდნენ ჩვენი ქვეყნისა და კულტურის დიდი მოამბენი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე ჯავახიშვილი, კოტე მარჯანიშვილი და სხვები. აი, ეს სკოლა უყვარს პოეტს, ვინაიდან ამ სკოლას კიდევ შეუძლია აღზარდოს სასახელო შვილები:

„დაე აქ გაზრდილ ჩიველთა სიას
შემატებოდეს გვარებიც თქვენი“.

გარდა ლექსებისა წიგნში მოთავსებულია აგრეთვე საინტერესო საბავშვო პოემები: „ნატერისთვალი“, „ზაზას ცხენი“, „სსახუმელი ბიჭუნები“ და „ძია დათას მეგობრები“. ამ პოემებში ყველგან ხაზგასმულია, რომ ძალა მხოლოდ კოლექტივშია, რომ მხოლოდ კოლექტივს, მეგობრობას და ერთსულოვნებას ძალუძს დიდი საქმეები.

„მზონას წიგნი“ ინტერესით წაიკითხავს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა.

ალ. სიგუა

მოკლედ შევლაფერო

ლითონის დამამუშავებელი ქველაზე დიდი მანქანა

ლითონის დამამუშავებელი დიდი მანქანები, რომელთა სიმაღლე 30 მეტრს აღწევს, არც თუ ასე ბევრია ცნობილი. ასეთი მანქანისათვის აგებული სპეციალური სამქრო ათსართულიანი შენობის სიმაღლეა.

ერთი ასეთი მანქანა ქალაქ კუნჩიკში კლიმენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა. ეს გიგანტი გიდრავლიკური წნეხი ჩეხოსლოვაკური კონსტრუქციისაა, იგი ყველაზე დიდი და ძლიერი სამქედლო წნეხია ცენტრალურ ევროპაში. გოლიათი წნეხის ზოგადი ნაწილი ათეულ ტონას უდრის. ასე მაგალითად, მისი ორი მთავარი დეტალი — ეგრეთწოდებული „სათვალეები“ — ცალცალკე 73 ტონას იწონიან,

ხოლო „სათვალეებს“ შორის მოთავსებული დეტალი კი 57 ტონას უდრის. ლითონის დამამუშავებელი კოლოსალური მანქანის სამუშაო წნევა თორმეტი ათასი ტონაა.

მანქანა თავისუფლად ამუშავებს ცხელი და ცივი ფოლადის ზოდებს, რომელთა წონა 100-დან 300 ტონამდე აღწევს.

სამქედლო წნეხი — გიგანტი ქალაქ პლზნის ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის მიერაა გამოშვებული. უდიდესი, ძლიერი ექსკავატორებით, საბრძმედ და საგლინავი საამქროების მოწყობილობებით და თავისი სხვა პროდუქციით ეს ქარხანა მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

ერთი ძირიდან ოთხსი პამიდორი

პენზის ოლქში სოსნოვსკის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. პ. კორნეევი, რომელიც ახალი ჯიშის პამიდორის გამოყვანაზე მუშაობს, წერილებს იღებს ჩეხოსლოვაკიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან და სხვ. მისი ცდის შედეგები საკვირვე-

ლი აღმოჩნდა: ერთი ძირიდან ოთხსი ცალზე მეტი პამიდორი მოიწია, რაც 16 კილოგრამს უდრის! ამ პამიდორის ჯიშს „კორნეევისა“ შეარქვეს. ამ საქმის მოყვარულნი წერილებით თხოვეს რჩევას მასწავლებელ კორნეევს.

მცირემიტრაჰიანი მანქანა „ბელკა“

ქალაქ ირბიტის (ურალი) მოტოციკლების ქარხანა 15 წელია რაც არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მან მრავალი მარკის მოტოციკლი, სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვადასხვა სახის ძრავა და მანქანა გამოაშუშა.

ამას წინათ, კონსტრუქტორებისა და ქარხნის კოლექტივის შეერთებული შრომის შედეგად, ქარხანამ ახალი, მცირემიტრაჰიანი ავტომობილი

შექმნა. მანქანა გათვალისწინებულია 4 მგზავრისათვის, მაგრამ მასში ხუთიც შეიძლება მოთავსდეს. საჭარძლის ზურგი გადსაყვითა; მისგან საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად მიიღება ორი საწოლი ადგილი. ახალ მანქანას „ბელკა“ ეწოდა. ბელკა წვეწებურად ციყვს ნიშნავს).

„ბელკა“ „მოსკვირის“ უკანასკნელ მოდელზე ორჯერ უფრო მსუბუქია და ყოველ 100 კილომეტრზე 6

ლიტრ საწვავს ხარჯავს.

მძლოლმა-გამოცდელმა კარგი შედეგება მისცა მანქანას და აღნიშნა, რომ იგი სწრაფად აწვითარებს სიჩქარეს, ადვილად უხვევს, 30 გრადუსიან აღმართზე თავისუფლად ადის და „ერთი სიტყვით, — სიქვემან, — მოქნილია როგორც ციყვი“.

„ბელკა“ ცუდ გზებზე არ უშინდება, არც წყალს ებუება, რადგან წყალში ტივტივებს და ნიჩბების დახმარებით ადვილად მიტურავს.

სეისმური ტალღები ზღვაში

ბუნების ერთ-ერთ მკაცრ მოვლენას წარმოადგენს სეისმური ტალღები, რომლებსაც სანაპირო რაიონების მოსახლეობისათვის უდიდესი უბედურება მოაქვთ. ასეთი ტალღების ზომა ათეული კილომეტრებით, ზოგჯერ კი ასეული კილომეტრებითაც განისაზღვრება. ისინი მოძრაობენ თანამედროვე თვითმფრინავის მოძრაობის სისწრაფით (500-600 კმ. საათში) და ზოგჯერ გაცილებით უფრო სწრაფად და აქვთ აუარებელი ენერგიის მარაგი. მიაღწევენ რა ნაპირს, ისინი ეხეტქებიან მას და გადარეცხავენ ხოლმე ყველაფერს. უდიდესი ენერგიის გამო წყალს შეუძლია აიწიოს ნაპირზე 20-40 მეტრის სიმაღლეზე.

სეისმური ტალღების წარმოშობის მთავარი მიზეზი წყალქვეშა მიწისძვრები და ვულკანური მოვლენები არიან. ასეთი ტალღები უფრო ხშირად წარმოიშობიან წყნარ ოკეანეში, სადაც გაბნეულია მიწისძვრის კერები. ასე, მგალითად, 1907 წელს იაპონიაში ავას ნაპირებზე სეისმური ტალღების მოქმედებით დაიღუპა 100 ათასი კაცი. კატასტროფული ტალღები იქნა გაჩენილი ვულკან კრატაუს ამოფრქვევის გამო 1883 წელსაც. ამ ტალღებმა დაღუპა 36.700 ადამიანი.

ამჟამად მოსახლეობის სეისმური ტალღებისაგან თავდაცვის მიზნით ბევრ სანაპირო ადგილებში დადგმულია სპეციალური ხელსაწყოები — სეისმოგრაფები, რომლებიც აღრიცხავენ მიწისძვრის ადგილსა და დროს. როცა ვიცით მანძილი მისგან უახლოეს ნაპირამდე და სეისმური ტალღის გავრცელების სიჩქარე ზღვაში, უბრალო გამოთვლით შეიძლება დადგენილ იქნას, თუ რამდენი ხნის შემდეგ მიაღწევენ ტალღები ნაპირს. ამის შემდეგ რადიოთი სისწრაფოდ ადრთხილებენ მოსახლეობას, რათა გაიხიზნონ მოსალოდნელი უბედურებისაგან თავის გადასარჩენად.




ჭადრაკი

თ. ბიორბადის რედაქციით „ბალკანებზე ბარასკა“

სახვითი ამოცანები, რომელთა დამაარსებელია გამოჩენილი რუსი მოჭადრაკე ივანე შუმოვი (1819 — 1881 წწ.), საჭადრაკო დაფაზე საგნებს და მოვლენებს ასახავს.

ი. შუმოვი თავისი კომპოზიციების უმრავლესობა მიუძღვნა XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის ჯარის წარმატებებს.


მოგვყავს შუმოვის ამოცანა „ბალკანებზე გადასვლა“, რომელშიც კომპოზიტორმა ჭადრაკის ენით გამოგვცა ბალკანებზე რუსი ჯარისკაცების გმირული გადასვლის ამბავი.



თეთრი მეფე განასახიერებს რუსეთის ჯარს, ხოლო ბალკანების მთებს პაიკების სოლივიტ განლაგება. თეთრი მეფე გადასვლით მფ13 — გ4 — ფ5 — ე6 — დ7 — ე6 — ხ5 — ა4 უახლოვდება მოწინააღმდეგეს და 8 კ:ხ3 აღწევს გამარჯვებას. ამასობაში შავები მხოლოდ კუთი დადიან, რაც სიმბოლურად ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგე არ ელოდა რუსეთის ჯარის ეხოდენ გვირულ ლაშქრობას.

ჩვენი უურნალის მიმდინარე წლის მე-8-ე ნომერში გამოქვეყნებული ა. დადიანის ორი ლამაზი დაბოლოება სწორად ამოხსნა როლანდ ჩხაიძემ (ლანჩხუთის რაიონი).

- I დაბოლოების გადაწყვეტა: 1. ლგ8+ მგ: ე8 თუ I... ე: ე8, მაშინ, 2. მფ7X) 2. მh6+ gh 3. მფ7+ ლგ5 (3... მგ7 4. ე: გ7X) 4. მ: h6X.
- II დაბოლოების გადაწყვეტა: 1. კგ7 მგ: ე7 2. h6+ მფგ8 3. ლდ4 ე5 4. ლ: ე5 f6 5. ლ: f6 და ნ. ლგ7X.



შინაარსი

ვასილ ბაიძე — ბელადის აკვანთან (ნარკვევი)	2
ირაკლი აბაშიძე — პატარა გორი დიღა (ლექსი)	3
ლევო ქიჩინი — სტალინი (მოთხრობა)	5
ნაზი კილასონია, რევაზ ბარკალაია — ბავშვებიც იბრძოდნენ (წერილი)	6
კ. გოგიაშვილი — საახალწლო (ლექსი)	9
ვახტანგ ჯავახიძე — კრემლის ვარსკვლავი გილოცავს (ლექსი)	9
შალვა ციხისელი — თამბაქო (მოთხრობა)	10
პიონერული ამბები	11
თ. სახაროვი — სასწავლო-სახელმწიფო (ნარკვევი)	18
მულე რაფა, ანანდი — მიწაღე და მსწქანს (მოთხრობა, ინგლისურ-რედაქციის თარგმანი ცილას თოფურიძემ)	20
ელიზბარ ზედგინიძე — შავა დიმიტრის წაამბობი (მოთხრობა)	24
გივი ძნელაძე — დაზამთრდა (ლექსი)	25
პლატონ ბებია — აბურდანი და ბურდანი (ზღაპარი)	26
სერგო თურნავა — ავლაბრის სტაჰმის დარბევა (წერილი)	28
ვ. ლალიაშვილი — ლამაზი და მისი მეგობრები (წერილი)	29
ბაკურ ბახტურიძე — ალექო მუნჯელიას საბავშვო ლექსები და პოემები (წერილი)	30
ალ. სიგუა — ხუტა ბერულავა — „მზეონას წიგნი“ (წერილი)	30
მ. კ. ლე დ. ყველაფერი	30
ჭადრაკი	32
გასართობი	3

გარეკანის პირველ გვერდზე — „ასე ვიბრძოდით ცხრაასხუთში“ ნახატი რ. ცუცქერიძისა. გარეკანის მთლიან გვერდზე — „ქახუკი სტალინი გორის ციხეზე — ნახ. ვ. დუგლასისა. გარეკანის მთლიან გვერდზე — საახალწლო წაძვისებ პიონერთა სასახლეში — ფოტო შ. ჩხეტაიასა.

უურნალი დასურათებულია მხატვრების: გ. ფოცხიშვილის, კ. მახარაძის, ო. ჯიშკარიანის, დ. დუნდუას, ვ. ცინდელიანის და შ. ცხადაძის მიერ.

ს არ ედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდხანიძე, რ. თაბუკაშვილი, რედაქტორი რევაზ მარგიანი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.


რედაქციაში შემოსულ მასხალეზე აგტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. декабрь, № 12 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3-81-85. საბლიტგამი.

შე 07560 ტირაჟი 15.000 ხელმოწ. დასაბ. 27/XII გამოც. შეგვ. № 527 სტამბის შეგვ. № 1519 პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“



ბასართობი




ქართული
ბავშვთათვის

ორი ფრინველი

პასუხი

შუკნალ „პიონერი“ № 11-ში მოთავსებულ
ბასართობზე



ეს ამოცანა შეადგინა ძველმა არაბმა მათემატიკოსმა, რომელიც მე-11-ე საუკუნეში ცხოვრობდა. მდინარის პირას ერთიმეორის პირდაპირ დგას ორი პალმა. ერთი მათგანის სიმაღლეა 30 მეტრი, ხოლო მეორის—20. მანძილი პალმებს შორის 50 მეტრია. პალმების კენწეროებზე იჯდა ორი ფრინველი, უცბათ ორივემ შეამჩნია თევზი, რომელიც წყლის ზედაპირზე ამოცურდა. ფრინველები თევზისაკენ დაეშვნენ ერთდროულად, ერთიდაიმავე სისწრაფით და ერთად მიაღწიეს თევზთან.

გაიგეთ რა მანძილზე ამოცურდა თევზი მაღალი პალმიდან?

გ კახვიაშვილი

რამდენ ნახტომზე დაიჭერს?

მთელი ორმოცი ნახტომით
კურდღელი ძაღლის წინ არი;
რამდენ ნახტომზე მთავრდება
მათი „შეჯიბრის“ ფინალი:

ძაღლი რომ შეიძჯერ ისკუპებს,
კურდღელი ასწრებს ცხრა ნახტომს.
(კურდღელს სურს თავის დაღწევა,
ძაღლი კი დევნას განაგრძობს).

ამბობენ, ძაღლის სამ ნახტომს
კურდღლისა უდრის ხუთიო...
რამდენ ნახტომზე დაიჭერს? —
პასუხს სჭირდება წუთიო.

ნაკოლოჯ კლდიაშვილი

პასუხი ბასართობზე „აა სიტყვებია?“


საჭიროა მოცემული ორი სტრიქონი ცალ-ცალკე გადაიტანოთ გამჭვირვალე ქალაღზე და შემდეგ ერთი მათგანი დაადოთ მეორეს ისე, რომ სტრიქონების დასაწყისსა და ბოლოში დახაზული კვადრატები ერთმანეთს დაემთხვეს.

მიიღებთ ნაცნობ სიტყვებს: იყავ მზად!

პასუხი თავსატეხზე

მარცხენა ფურცელქვეშ შეიძლება იყოს შემდეგი ასოები: ვ, გ, ფ, კ, პ, წ, ლ, თ, დ, ო; მარჯვენა ფურცელქვეშ კი: ე, ი, მ, შ, ს.

პასუხი გეომეტრიულ თავსატეხზე



როგორც ნახაზზე ხედავთ, მოედანი ხეების მოუჭრელად ორჯერაა გადიდებული.

პასუხი ამოცანაზე: „ასი ბატი“

თუ დაუშვებთ, რომ გუნდში იყო X ბატი, მაშინ მათ უნდა დამატებოდა ერთი იმდენი (X), მათი ნახევარი ($\frac{X}{2}$), მათი მეოთხედი ($\frac{X}{4}$) და კიდევ ერთი, რომ გუნდში ყოფილიყო 100 ბატი.

$$\text{ამგვარად } X + X + \frac{1}{2}X + \frac{1}{4}X + 1 = 100.$$

$$X = 36.$$

გუნდში იყო 36 ბატი.

6.9/7

57/55

საქართველოს
საზოგადოებრივი

